# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


სამშაბათი, 5 ოქტომბერი, 2010 წელი.

№185 (6551)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# უფრთხილდი ინსულტს როცა ღამის ქოთანზე ზიხარ!



როცა „კავკასიის" ეკრანზე გუბაზ სანიკიძის ძალად კუშტ სახეს ვუყურებ და მის „ამაყ" განმარტებას ვისმენ, როცა ვიცი, რომ ფორუმელები, რესპუბლიკელები, მემარჯვენეები, თვით ლეიბორისტებიც კი (საპარლამენტო ოპოზიციაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს!), მთელი ეს ალასანიები, გრეჩიხები, გამყრელიძეები, უსუფ-ხიდაშელები, დავითაშვილები, ძიძიგურები იმ შეკრებაზე მხოლოდ იმიტომ არ მივიდნენ, რომ „სუფრა სხვისი გაწყობილი იყო" და „მეორე რიგში ჯდომა" იუკადრისეს, რაკიღა „პირველზე" ნინო ბურჯანაძე, „თეთრები", „ქართული აკადემია" უნდა მსხდარიყვნენ, გინდა უთხრა: თუ ასე გააგრძელებთ, თქვენ დაკარგავთ უფლებას, ოპოზიცია გერქვათ და მეწინავეობდეთ ხალხს (ან ვინ მოგცათ ამის მანდატი!).

2

# არადემოკრატიულსა და შეუსრულებელს არაფერს ვითხოვთ

5





3

## იქ თუ იციან – ზევით!

ქართული FASHION ეკონომიკის დღევანდელობა

## რუსი რეჟისორის ფილმი საქართველოს ომზე

8






3

## ინგლისელი „ქივხალები" და საქართველოს „წინსვლა"

## მეტამორფოზა

ყანდაგარული ჩანაწერებიდან 2



ჩვენი ლეკი

## „დაღესტნური ჩიტი ქართულ მუხაზე"

6 7

## ზურაბ წერეთელს გასაქცევი არაფერი სჭირს!

11



ოპოზიცია

# უფრთხილდი ინსულტს, როცა ღამის ქოთანზე ზიხარ!

ქვეყანას სიახლეს ვთავაზობ:

29 სექტემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული წარმომადგენლობითი სახალხო კრების შემდეგ ძველ, საყოველთაოდ ცნობილ მაქსიმას „მითხარი ვისი მეგობარი ხარ და გეტყვი ვინა ხარ შენ“, რომელიც უამრავ განშტოებად და ინტერპრეტირებად არის გან-ტოტვილი (მაგალითად, „მითხარი რომელ ტელეარხს უყურებ და გეტყვი ვინა ხარ შენ“ და ა. შ.), ახალი შინაარსით წარმოგიდგენთ: „მითხარი რომელ პარტიაში ხარ და გეტყვი ვინა ხარ შენ“.

ანუ: თუ დღემდე გაძელი და არც ერთი პარტიის წევრი არ ხარ, ყოჩაღ შენ, დაკვირვებული და თავმოყვარე კაცი ყოფილხარ! ხოლო თუ ეშმაკმა გაცდუნა და ჩვენში მოფუთფუთე 200-მდე სამკაციანი პარტიიდან რომელიმეში მეოთხე კაცად შეეკვეხე, ამქვეყნად თუ არა, იმ ქვეყნად მაინც დაგსჯის ღმერთი და კუპრში გაყურყუტებს მეორედ მოსვლამდე, თავქარიანობისა და დაუფიქრებლობისთვის, რადგან ეს სამკაციანებია, ჩვენი ოპოზიცია თოკზე ჩამოკიდებულ მარიონეტს რომ დაამსგავსა და ხალხი სიმწრის სიცილით კვდება მათ ყოველ ხელ-ფეხის გაქნევაზე, განსაკუთრებით – პირის გაღებაზე.

ვინმეს თუ რაიმე ილუზია ჰქონდა მათზე, იმ დღის შემდეგ უკვალოდ განუქრა, როცა ამ ფსევდო, მხოლოდ საკუთარი თავის მარგმა პარტიებმა ფილარმონიაში შეკრებილ ათასობით ადამიანს ყოვლად გაუგებრად, ყოვლად აუხსნელად გაუცრუა მოლოდინი – არ მივიდა მათთან, შემდეგ კი, როცა აღშფოთებულმა საზოგადოებამ განმარტება მოითხოვა, თავის სამართლებელი ლუღლუღიც დაიწყო, ამიტომ და იმიტომო: მოსაწვევი გვიან მივიღეთო(?!), „სხვის ღონისძიებაზე“ რატომ უნდა მივსულიყავითო(?!), ბებია გამიხდა ავადო...

და ახლა, როცა „კავკასიის“ ეკრანზე გუბაზ სანიკიძის ძალად კუშტ სახეს ვუყურებ და მის „ამაყ“ განმარტებას ვისმენ, როცა ვიცი, რომ ფორუმელები, რესპუბლიკელები, მემარჯვენეები, თვით ლეიბორისტებიც კი (საპარლამენტო ოპოზიციაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს!), მთელი ეს ალასანიები, გრეჩიხები, გამყრელიძეები, უსუფ-ხიდაშელები, დავითაშვილები, ძიძიგურები იმ შეკრებაზე მხოლოდ იმიტომ არ მივიდნენ, რომ „სუფრა სხვისი გაწყობილი იყო“ და „მეორე რიგში ჯდომა“ იუკადრისეს, რაკილა „პირველზე“ ნინო ბურჯანაძე, „თეთრები“, „ქართული აკადემია“ უნდა მსხდარიყვნენ, გინდა უთხრა: თუ ასე გააგრძელებთ, თქვენ დაკარგავთ უფლებას ოპოზიცია გერქვათ და მეწინავეობდეთ ხალხს (ან ვინ მოგცათ ამის მანდატი!).

დიდი უკულმართი რამ არის რემინისცეცია: მათი ხმაურიანი მიეთ-მოეთის შემხედვარეს, მიზანში მორტყმულივით მახსენდება თუ როგორ აღესრულა რუსეთის დიდი იმპერატორი ეკატერინე მეორე. არა ისე, ჭორად რომ ვიცით – ზოოფილიური ვნების მსხვერპლად. რუსი ისტორიკოსები გვამცნობენ: იმ ფაშფაშა ქალს, როცა ღამის ქოთანზე იჯდა (მოგეხსენებათ, მაშინ უნიტაზი და, შესაბამისი საკანალიზაციო სისტემა ჯერ არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, რუსეთში მაინც!) და თავგანწირვით იჭინთებოდა, ინსულტი მოუვიდა და ჩვენი ჭირი წაიღო.

და ახლა, ტელეეკრანებზე ჩვენი ოპოზიციის გაჭაჭული და გაჭინთული ლიდერების შემხედვარეს, სულ მეშინია, იმპერატრიცა ეკატერინესავით აპოპლექსია არ გაირტყან.

აშკარაა: პარტიების უმრავლესობა სარკესავით აირეკლავს ჩვენივე ხასიათის ზოგიერთ მანკიერებას – მუზმუზელობას, ერთმანეთის გაუტანლობას, ყელყელაობას...

მაგრამ ბნელს სინათლეც ახლავს ხოლმე.

იმედიანად იტყობინებიან, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს მალე შეიძლება კიდევ ერთი (მერამდენე?) პარტია შეემატოს, ამჯერად თურმე ირაკლი ოქრუაშვილი გაგვაბედნიერებს.

პარტიის შესაქმნელად კონსულტაციებს ყოფილი ამირსპასალარი არც მეტი, არც ნაკლები პარიზიდან (ოხოხოხო!) გამართავს. დიქტატორულად, მარტო კი არ უხელმძღვანელებს პარტიას, თანათავმჯდომარეებიც ეყოლება – ლევან გაჩეჩილაძე (უფროსი გრეჩიხაძ და სოზარ სუბარი.

პირდაპირ ისეთი აკიდოა, ხელის შეწოდება რომ არ მოგინდება!

ნეტა ამის ტვინში ჩამახედა, ირაკლი ოქრუაშვილის დროშის ქვეშ დადგომას რომ აპირებს.

მე პირადად ამ ანგელოზად ნამუშევარი კაცის საქმეთაგან მხოლოდ ის მახსენდება, სადღაც ხაშურთან შიშველი მეძავეები რომ წამოყარა შუაღამისას თურქი მძღოლების ლოგინებიდან და ტელეეკრანებზე გამოფინა სახალხოდ;

1 იანვარს ცხინვალში გაზეიმებთო რომ განაცხადა და შეშფოთებული სეპარატისტული რეჟიმი ტოტალურად თოფქვეშ დააყენა;

პირად დაცვასთან ერთად ყოვლად უმიზნოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე რომ შეიპარა და სამი ღამე კვერნებთან გაათია ტყეში;

დაბოლოს, მისი მრისხანე ბრალდება რეჟიმის მიმართ და ელვის უსწრაფესი მონანიება...

მე პირადად არანაირად არ მივიჩნევ ამ ოდიოზურ კაცს სერიოზულ პოლიტიკურ მოღვაწედ.

ან რა აუცილებლობით არის გამოწვეული ამ პარტიების ოხრობაში კიდევ ერთი ახლის შეკოწიწება, რომელიც ძალიან მალე ალბათ ისევე განიბნევა მის თანამოსაქმეთა უსაზღვრო სიმრავლესა და უაზრო ფაციფუცში, როგორც წყალი ქვიშაში. ეგეც არ იყოს, პატივცემულ ირაკლის და ასევე პატივცემულ ლევანს ხომ უკვე აქვთ საკუთარი, მართალია ცოცხალ-მკვდარი, მაგრამ ჯერაც მსუნთქავი პარტიები?

ერთი ნიშანდობლივი მომენტიც: ჩვენი ყურცქვიტა სამკაციანები თურმე სულის კაწკაწით ელოდებიან ახლის შემომატებას, რადგან „კოორდინაციას და თანამშრომლობას აპირებენ ყველა ჯანსაღ ოპოზიციურ ძალასთან“.

როგორ ფიქრობთ, უკვე არსებულ მართლა ჯანსაღ ოპოზიციურ პარტიებს რომ გვერდით არ დაუდგნენ 29 სექტემბერს, ჯერ არარსებულთან გასწევენ კოორდინაციასა და თანამშრომლობას?

ადვილი გასათვლელია რაც მოხდება: ერთი ორჯერ გააკეთებენ ოფოფა განცხადებას ტელევიზიით, გაზეთებს მისცემენ ლაყე ინტერვიუებს და კვლავ მშვიდ ძილს მიეცემიან ჭაობში, რომლადაც მათი „კოორდინაციითა და თანამშრომლობით“ იქცა ერთ დროს ღაღანა ოპოზიციური ველი.

ალეკო ასლანიშვილი



პოლიტიკური ესსე

# მეტამორფოზა

## ყანდაგარული ჩანაწერებიდან

ყველასათვის ცნობილია, რომ რელიგიურმა და მსოფლმხედველობრივმა დაპირისპირებამ თავი იჩინა აგრესიულ სოროსელებში, კერძოდ, მათ ლიდერებში გიგი თევზაძესა და გია ნოდიას შორის. ეს დაპირისპირება არსობრივად გვაგონებს დანიელ ჭონქაძის უკვდავი ნაწარმოების „სურამის ციხის“ მთავარი პერსონაჟების დურმიშხან წამალაძისა და ოსმან-აღას ურთიერთობებს. აშკარაა რეალისტი მწერლის გმირებიდან დურმიშხანი გიგი თევზაძის ფსიქოტიპია, ხოლო ოსმან-აღა – გია ნოდიას არქეტიპი. როგორც დურმიშხანმა უღალატა ოსმან-აღას, მიატოვა და მისი ქონება მიითვისა, ისე გიგი თევზაძემ უღალატა თავის მოამაგე გია ნოდიას და მის ძირითად პოლიტიკურ თემებს და ფინანსურ წყაროებს დაეუფლა.

სულ ახლახან, როდესაც გია ნოდია კორუფციის ბრალდებით დააკავეს და ბონდო შალიკიანივით საცვლების ამარა გამოიყვანეს ბინიდან, გირაოს ქვითარიც გამოუწერეს, გიგი თევზაძე, თავის მამასთან გურამ თევზაძესთან ერთად, მშვიდად ატარებდა თითიდან გამოწოვილ კონფერენციას კავკასიის გაერთიანების შესახებ და ერთხელაც არ გახსენებიათ კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი, კავკასიის ჯიხადის ხელმძღვანელი, მუსულმანურ სამყაროში აღიარებული გია ნოდია.

მძიმე და რთული იყო განათლების ყოფილი მინისტრისა და კავკასიური ჯიხადის ხელმძღვანელის გია ნოდიას ცხოვრების გზა, რომელმაც ამას წინათ ლოგიკური მეტამორფოზა განიცადა.

უკან დარჩა სტუდენტური დღეები, როდესაც მაშინდელი ფილოსოფიის ფაკულტეტის კომუნისტი დეკანი გურამ თევზაძე, რომელიც უნივერსიტეტის პირველ განყოფილებაში საზოგადოებრივ და ფილოსოფიური მეცნიერებებს უწევდა უშუალოდ ცენზურას და კურირებდა, გია ნოდიას ერთგულ იდეურ მემკვიდრედ ზრდიდა შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის და საერთოდ ქართული ეროვნული ფილოსოფიის წინააღმდეგ. უკან დარჩა ასპირანტობისა და ფილოსოფიის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად მუშაობის დღეები, როდესაც თავი გამოიჩინა დასმენებით და ამით შეძლო ფილოსოფიის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის ნიკო ჭავჭავაძის ნდობის დამსახურება. ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექციისა და განყოფილებათა კარებს დღესაც ახსოვთ ყურმიდებული გიას კარიერისტული მღელვარე სუნთქვა. ამას ადასტურებს ცნობილი ეროვნული მოღვაწე ნოდარ ნათაძე.

კორუფციაში ყელამდე ჩაფლულ ნოდიას ცნობიერებაში ამოუშლელად რჩება ის, მისთვის კეთილგასაგონარი დღეები, როცა უზენაეს საბჭოს ოსტატურად აართვა უხვი გრანტი, რითაც სანატრელ ამერიკაში გააღწია კაგებეს დახმარებით, რომლის გაუქმების შემდეგ იძულებული იყო ქუჩის ცხოვრებით ეცხოვრა. არც ნარკობიზნესი იყო მისთვის უცხო ხილი მთელი თავისი რთული ატრიბუტიკით. ამას მოყვა მუსულმანურ სამყაროსთან ახლო კონტაქტები და დიდი წინსვლები დინოზავრის ნაბიჯებით. აქვე მოჩანს დიდი ფილოსოფოსი ფუკუიამა, რომელმაც, მუსულმანური ზეწოლით, თავის წიგნში „ფუნდამენტალიზმის საშიშროება“ კრიტიკულად მიმოიხილა გია ნოდიას „ესსე“ „ნაციონალიზმი და დემოკრატია“ და მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი, როგორც ახალი ფუნდამენტალისტური მიმდინარეობის ე. წ. „ნადიზმის“ შემქმნელს.

ყოველივე ამას მოჰყვა თავბრუდამხვევი წარმატებები შევარდნაძის საქართველოშიც, კავკასიის ინსტიტუტის დირექტორობა, ანტიკორუფციული კომისიის „შვიდკაცას“ წევრობა.

თავბრუდამხვევი იყო აგრეთვე გია ნოდიას ვოიაჟი 1999 წელს ქ. ყანდაგარში, სადაც მისი საყოველთაო აღიარება მუსულმანური ლიდერების მიერ კარგად გააშუქა იმდროინდელმა ყანდაგარულმა პრესამ და მას გიორგი ყანდახარელი უწოდა.

ამას წინ უძღოდა წარმატებული ოპერაციები ცენტრალურ აფრიკაში, კერძოდ, ოკეანესპირა კენიასა და ტანზანიაში. 2004 წელს ვარდების ე. წ. რევოლუციის შედეგად მოსულმა სოროსულმა ხელისუფლებამ გია ნოდია აღიარა სოროსელთა უპირველეს იდეოლოგად. პარალელურ რეჟიმში ამავე წელს ნოდიამ მოიპოვა ყველა მუსულმანური წოდება და რეგალია, კავკასიის საკითხებიც მას ებარა.

და ყველაფერი ეს თითქოს გაწყვიტა ერთმა მნიშვნელოვანმა სისუსტემ – კორუფციამ, და ნოდია სწორედ ამ კორუფციის და გიგი თევზაძის განუწყვეტელი პერსონალური ინტრიგებისა და საჩივრების მსხვერპლი გახდა. ამის კვინტესენცია იყო ნოდიას დაკავება სოროსული ხელისუფლების მიერ, როდესაც იგი ბონდო შალიკიანივით საცვლების ამარა გამოიყვანეს. სწორედ და მხოლოდ მაშინ დასამარდა გია ნოდია როგორც გია ნოდია და შეწყვიტა არსებობა.

ამჟამად ხდება მეტამორფოზა, მეტად საინტერესო მუტაცია, რომლის შედეგად იბადება სრულიად ახალი სუბიექტი, რომელსაც შთამბეჭდავი სახელი გეორგ ბენ-ნადი ერქმევა, რაც არის გია ნოდიას აღმოსავლური შესატყვისი.

პერსპექტივაში სავარაუდოა, რომ, იოანეს გამოცხადების მიხედვით, იგი მოგვევლინოს მხეცად და ცოტა ხანში დედაკაციც შეისვას მხრებზე. თუმცა, მამა-შვილი თევზაძეები მაშინაც შეეცდებიან წაართვან გია ნოდიას მხეცობა და ქ. ყანდაგარის ქუჩებში ჩააქოლინონ იგი როგორც ოსმან-აღა.

მხეცის წინააღმდეგ მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში მას დაუპირისპირდება კრავი, დიდი იესო ქრისტე სწორედ მესიის მახვილით. აქვე გაჩნდება საღვთო ლაშქარი დიდი სიონისა და კავკასიონის გადასარჩენად.



ზურაბ გაგნიძე

ინფორმაცია

### უფრო მეტი ჯარისკაცი გვეყოლება

**პრეზიდენტის გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა გაიზარდა. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება უკვე ძალაშია.**

**ბრძანებულების თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 1 204 წვევამდელით განისაზღვრა. აქამდე არსებული ნორმით კი წვევამდელთა ოდენობა 738 იყო.**

**შეგახსენებთ, რომ საშემოდგომო გაწვევა 10 აგვისტოს დაიწყო და 30 დეკემბრამდე გაგრძელდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

მცირე მეწარმეობა

# იქ თუ იციან – ზევით!

## ქართული FASHION ეკონომიკის დღევანდელობა

**ბათუმში ჩარგული, არაბეთის შეიხის მიერ ნაჩუქარი პალმებითა და ყველა კურიერის მიერ გადმოცემული, სააკაშვილისა და დონალდ ტრამპის შეხვედრით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ მდგრადად დგას 28 წლის, ლამაზი მინისტრის მშვენიერ მხრებზე და მართლაც რომ FASHION არის, მაგრამ საზოგადოებისთვის ასევე კარგადაა ცნობილი, რომ იმ გრანდიოზულ პროექტებს, იმ მართლაც რომ „მსუქან" ინვესტიციებს, რომლებიც ხორციელდება, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. არა აქვს და ხშირ შემთხვევაში საწინააღმდეგო ეფექტს უფრო იძლევა.**

ხელისუფლების მიერ შემოტანილი სხვადასხვა საგადასახადო ინიციატივა, როგორც მცირე მეწარმეებში, ასევე ექსპერტებში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს და რიგითი მოქალაქეებისთვის ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს.

იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რა პერსპექტივები აქვს საქართველოში „დიდ ინვესტიციებზე" მიბმულ სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, თუ რა პერსპექტივები აქვს ისეთ ბიზნესს, რომლის არა მარტო განვითარება, არამედ არსებობაც, მთლიანად მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობაზეა დაფუძნებული, გადავწყვიტე .დიზაინერისთვის მიმემართა.

რატომ დიზაინერისთვის?

ახლავე მოგახსენებთ.

ჯერ ერთი იმის გამო, რომ ქართული ტელევიზიები და სხვა ყვითელი პრესის ფურცლები, პერმანენტულად „ივსება" ათასგვარი „ფეშენ ვიკებისა" თუ მოდელების ჩვენების ამსახველი სიუჟეტებით.

ასევე ყველა ე.წ. „ცნობად სახესთან" გაკეთებული ინტერვიუს ერთ–ერთი უმთავრესი კითხვაა, თუ „სად იმოსებიან" ისინი.

და ბოლოს: ყველას არამც თუ გვიყვარს კარგად ჩაცმა, ეს „აქტი" ელემენტარულად გვჭირდება და მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ვცდილობთ მის გადაჭრას დევიზის – „იაფად და ხარისხიანად" შესაბამისად.

და კიდევ ერთი მთავარი მიზეზი: ტანსაცმელს ჯერჯერობით არ სჭირდება აქციზური მარკა (სიტყვა „ჯერჯერობით" იმიტომ დავწერე, რომ რა მოუვა ამ ხელისუფლებას თავში, ვინ იცის!. ამის გამო ფასების „მოულოდნელი" ცვლა (ანუ ზრდა) მხოლოდ ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხდება.

შპს „რუსკას" ხელმძღვანელი რუსკა ლორთქიფანიძე:

– ჩვენ ვკერავთ ტანსაცმელს. ვამზადებთ როგორც შეკვეთით, ასევე მასობრივი მოხმარების პროდუქტსაც, რომელიც შემდეგ რეალიზატორებს გააქვთ ბაზრობებზე.

საწარმო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ჯერ მხოლოდ სამი თვეა, რაც ფუნქციონირებს. მე ადრე რამდენიმე სხვადასხვა საწარმოში ვმუშაობდი. მქონდა შემოთავაზება ავთო ცქვიტინიძისგან, მაგრამ მაინც დამოუკიდებლობა ვარჩიე, რადგანაც მინდოდა მოქმედების და შემოქმედების თავისუფლება მქონოდა. არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ასე ვთქვათ „ცალკე გასვლა", იმ ხალხის გავლენით მოხდა, რომელთაც ჩემი ნამუშევრები მოსწონდათ.



რაც შეეხება საწარმოს ტექნიკურ აღჭურვილობას, ვიტყვი, რომ გარკვეული მარკეტინგული სამუშაოს ჩატარების შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესია ჩემი მასშტაბის საწარმო, ჩემს უბანში გამეხსნა. მართალი გითხრათ, ამას ჩემი ბიზნესისთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ჯერ ერთი ისეთი უბანია, რომელიც თავისი მაღალი გემოვნებითა და, რაც მთავარია, რეალური მოთხოვნებით გამოირჩევა. მეორეც. აქ ყველას ვიცნობ, ვიცი მათი გემოვნება და შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე მოქმედების სრული თავისუფლება მაქვს.

დასაქმებულთა რაოდენობაზე ვიტყვი, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ოთხნი ვმუშაობთ, მაგრამ როგორც ხედავთ, დანადგარები მაქვს და გაფართოების საშუალებაც არის. სრული დატვირთვით ამუშავება, მხოლოდ დროის საქმეა.

**– ე.ი. თქვენ ვერ მოხვდებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ წამოყენებულ და აწ უკვე დავიწყებულ ინიციატივაში „ვინც 100 ადამიანს დაასაქმებს, შვილს მოვუნათლავო". კარგით, პრეზიდენტზე გამახსენდა, რა სოციალური ფენის მომხმარებელი დადის თქვენთან?**

– მოდიან როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეები, ასევე ხალხისათვის ნაცნობი ადამიანები. მაგალითად მურმან ჯინორია, კახა ბაკურაძე, ვაკაჭი, გიორგი „ბახალა". ყველას ვერ ჩამოვთვლი. რაც შეეხება მასობრივ პროდუქტს, აქ ფაქტობრივად ყველა სახის ტანსაცმელი იკერება.



მოთხოვნა ძირითადად რეალიზატორებისგან მოდის. ისინი გვიკვეთავენ მოდელებს, ანუ იმ სახის პროდუქციას, რაც დღეს მოდაშია.

არსებულმა კრიზისმა და მოსახლეობის არც თუ ისე სახარბიელო მატერიალურმა მდგომარეობამ, ბოლო ორი წლის მანძილზე მოთხოვნა 40-50 პროცენტით შეამცირა და ფაქტობრივად მთლიანად იმ სახის პროდუქციის წარმოებაზე გადაგვიყვანა, რაც მხოლოდ ფართო მასისთვის არის მისაღები, მაგრამ ვცდილობ, რომ მაინც შევქმნა რაიმე ახალი. მაქვს ისეთი მოდელები, რომლებსაც თუნდაც მცირე ხელშეწყობის პირობებში, ნამდვილად ექნებოდა წარმატება

**– „რა მინდა გკითხო", ფინანსთა სამინისტრომ შემოიღო ე.წ. საგადასახადო აგენტის ინსტიტუტი. რამდენად მისაღებია ეს ინიციატივა თქვენთვის.**

– მართლაც საინტერესო და კარგი სიახლეა. კარგია, თუნდაც იმის გამო, რომ არ გიწევს ყოველ წინადადებაზე, ყოველ წერტილ-მძიმეზე ფიქრი. თუ რაიმე ლაფსუსი მოხდა, შენ აბსოლუტურად თავისუფალი ხარ, მაგრამ ცუდია ის, რომ საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. 10 000 ლარი, ისეთი ტიპის საწარმოსთვის, როგორიც ჩემია, საკმაოდ დიდი თანხაა. მსგავსი ფუფუნების უფლებას, ალბათ მხოლოდ დიდი კომპანიები თუ მისცემენ თავს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ მათ თავიანთი მაღალკვალიფიციური ბუღალტრებისა და იურისტების საშუალებით, ისედაც კარგად ექნებათ დალაგებული ურთიერთობა საგადასახადო სამსახურებთან. ამიტომ, ჩემი აზრით, მსგავსი დახმარებები პირველ რიგში მცირე საწარმოებისთვის უნდა იყოს განკუთვნილი.

**– მოდით, საგადასახადოს თავი დავანებოთ და ისევ ტანსაცმელს დავუბრუნდეთ. თბილისში უამრავი „ფეშენ ვიკი", თუ სხვადასხვა სახის „ჩვენებები" ტარდება. მე რატომღაც მგონია, რომ იმ ხალხს, ვისაც შესაძლებლობა აქვს, ქართველი ე.წ. დიზაინერების მიერ „შექმნილი" პროდუქცია არ სჭირდება, ხოლო მასა ბაზრობებზე იცვამს. რა არის ეს, უსაქმურთა გართობის რაღაც ფორმა, თუ ვინმეს მართლა სჭირდება ეს ყველაფერი?**

– აქ ცოტა რთულადაა საქმე. გარკვეულ წილად მართალია ის, რომ მასა ბაზრობებზე იცვამს, ხოლო ე.წ. ბომონდი" – უცხოურ ბუტიკებში. მაგრამ გარკვეული მომხმარებელი, მიუხედავად იმისა, რომ მათი პროდუქცია დიდი ხარისხით არ გამოირჩევა, ქართველ დიზაინერებსაც ჰყავთ. მაგალითისთვის ვიტყვი: დიზაინერმა ბიჭოლამ თქვა, ხუთ ლარად ვყიდულობ რაღაც ნაჭერს და შემდეგ, ასე ვთქვათ, ძალიან ძვირად, ანუ „უაზრო ფასად" ვყიდიო. როდესაც ქართველი დიზაინერების მიერ წარმოებულ პროდუქტზე ვლაპარაკობ, აქ მხედველობაში მაქვს არა თავად მოდელი, არამედ ნაჭრის ხარისხი.

რაც შეეხება ჩვენებებს, აქ კი თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ყველა დიდ ჩვენებას უცხოელებიც ესწრებიან, ძალიანაც მოსწონთ და საკმაოდ საინტერესო პროექტებში მონაწილეობასაც სთავაზობენ. ჩვენებიც დადიან საზღვარგარეთ და იქედანაც მოაქვთ საინტერესო მოდელები. ცხადია, აქ ემატება ქართველებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფერები, გარკვეულწილად იცვლება სტილი, მაგრამ ეს მხოლოდ ტექნიკური მხარეა.

ის ხალხი კი, რომლებიც ხუთლარიანი ნაჭრიდან შექმნილ პროდუქტში უაზრო ფასს იხდიან, მაპატიეთ გამოთქმისთვის, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი, ჩვეულებრივი „მარიაჟები" არიან. მეც მყავს ასეთი კლიენტები.

რუსკასთვის კიდევ მინდოდა დამესვა ერთი კითხვა: გახდება, თუ არა შენი საწარმო იმ ინფრასტრუქტურის ნაწილი, რომელიც საქართველოში მოზიდულ გრანდიოზულ ინვესტიციებს სჭირდებათ, მაგრამ აღარ ვკითხე, რადგანაც პასუხი წინასწარ ვიცოდი.

სხვათა შორის, თქვენც იცით.

ჩემზე კარგად იცით, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა იმ სასტუმროების მშენებლობებს კი არ აქვთ, სადაც ერთი ღამის გათევა სამი თვის პენსიის ტოლფასია, არამედ იმ საწარმოების ამუშავებას, სადაც რეალურად დასაქმდება ხალხი.

ეჰ, ჩვენ კი ვიცით, მაგრამ იქ თუ იციან? იქ ზევით!

**გია გაბრიჭიძე**

მწარე ფიქრები

# ინგლისელი „ყივჩაღები" და საქართველოს „წინსვლა",

## ანუ „ნახტომი" მოუსავლეთში

**„მთავარი მოთხოვნაა სკოლის ასაკის ყველა ბავშვი, 5-დან 16 წლის ჩათვლით, ინგლისურენოვანი გახდეს, რასაც მივაღწევთ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში (მერე ნახეთ, ყველანი „ლოტოტრონის" შემომღები განათლების მინისტრივით რომ დაიწყებენ „ბავშის" წერას – ი.ლ.). ეს საშუალებას მოგვცემს საქართველო უფრო წინ წავიდეს და ყველაზე დიდი ნახტომი გააკეთოს პოსტსაბჭოთა სივრცეში. ეს საგანმანათლებლო რევოლუცია ყველაზე დიდი წვლილი იქნება ქვეყნის განვითარების საქმეში", აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.**

ეს ზოგადად, კონკრეტულად კი არავინ გვიხსნის, თუ როგორ და რაში მივაღწევთ წარმატებას ინგლისურის შესწავლით, თუ მოხერხებულა რომელიმე სახელმწიფოში უცხო ენის დახმარებით ეკონომიკური ან პოლიტიკური კრიზისის დაძლევა. ერთადერთი, რაც ითქვა, იყო ის, რომ თურმე „ინტერნეტით შეგვეძლება ინფორმაციის მოძიება ნებისმიერ საკითხზე", ანუ ზუსტად ისევე, როგორც ამას ახერხებენ ინგლისურენოვან სახელმწიფოებში და ინგლისურის მცოდნენი დანარჩენ მსოფლიოში. რა თავში ვიხლით ამ ინტერნეტს, თუ შესაბამისი უმაღლესი განათლება არ გვექნება და სამეცნიერო ინსტიტუტებიც აღარ იარსებებენ?! მხოლოდ გასართობად და დროის მოსაკლავად?!

ინგლისურის საყოველთაო ცოდნა პანაცეა რომ არ არის და იოტისოდენა გავლენას ვერ მოახდენს ეკონომიკაზე და, მაშასადამე, ჩვენი ხალხის ცხოვრების დონეზე, ეს ძნელი მისახვედრი სულაც არ არის, მაგრამ მაინც, თვალსაჩინოებისთვის ჩამორჩენილ აფრიკას და განვითარებულ ევროპასაც მოვიყვან.

ნახევარი საუკუნეა, რაც აფრიკელებს დამოუკიდებლობა უბოძეს კოლონიზატორებმა, ევროპული ენებიც კარგად შეასწავლეს – ინგლისურს რაც შეეხება, ზოგ სახელმწიფოში იგი სახელმწიფო ენადაცაა გამოცხადებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად უზარმაზარი წიაღისეული სიმდიდრეებისა, ვერც სიღატაკიდან ამოვიდა აფრიკა და ვერც სამოქალაქო ომებს დააღწია თავი. საქმეს არც დასავლელი „კონსულტანტების" სიმრავლემ უშველა, არც გზების დაგებამ და არც – ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების აგებამ – მილიონობით ადამიანი იღუპება შიმშილისა და ავადმყოფობისგან, ცოცხლად დარჩენილებიდან კი უმეტესობა მათხოვრული ჰუმანიტარული დახმარების იმედზეა.

ახლა ევროპასაც გადავხედოთ და ვიკითხოთ – პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაკაბალებულ-დანაწევრებული გერმანიის სასწაულებრივ ეკონომიკურ აღმავლობას (4-5 წელიწადში!) ინგლისურის ინტენსიურად შესწავლამ შეუწყო ხელი თუ იმ დროს არარსებულმა კომპიუტერ-ინტერნეტმა?!

არავითარი სპეციალური განათლება არ არის საჭირო იმისთვის, რომ ყველა ნორმალურმა ადამიანმა სწორი ზოგადი დასკვნა გააკეთოს: წარმატების საწინდარი არის არა მთელი ერის მიერ რომელიმე უცხო ენის შესწავლა, არამედ სახელმწიფოს მიერ გატარებული სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რაც მოახერხა კიდეც გერმანიამ გასული საუკუნის 30-იან წლებში, და რასაც ვერასოდეს ვერ მოახერხებენ ის სახელმწიფოები, რომელთაც სათავეში სხვის მიერ დასმულ-მოსყიდული ხელისუფლება ჰყავთ; ასეთი ხელისუფლება გულშიც კი არ გაივლებს დამოუკიდებელი, ანუ ეროვნული პოლიტიკის გატარებას, გამორიცხულია მან საკუთარი უზრუნველი ცხოვრება, 1-2 წელიწადში ნაშოვნი მილიონები და უსაზღვრო ძალაუფლება, ხალხის და ქვეყნის მომავალზე ფიქრში გათენებულ უძილო ღამეებზე გაცვალოს!

ეს უდავოდ ასეა, მაგრამ ხელისუფლებას მშვენივრად ესმის, რომ პერიოდულად აუცილებელია ხალხისთვის თვალებში ისეთი ახალ-ახალი ნაცრის შეყრა, რასაც „ხალხზე ზრუნვა", „სიღატაკის დასაძლევი გზა" დაერქმევა, და მოიგონა კიდეც ინგლისურის საყოველთაო სწავლება. დარწმუნებული ვარ, ესეც არა საკუთარი ჭკუით; აბა, სხვანაირად ათასობით „სპეციალისტს" ასე ოპერატიულად ვინ „მოგვაშველებდა". **ჭეშმარიტი დახმარების სურვილის შემთხვევაში ყველა პატიოსანი დამხმარე დამშეულ სახელმწიფოში ორიენტირად სოფლის მეურნეობას აიღებს და არა – მშიერი ხალხისთვის მესამე ენის სწავლებას** (ჩვენს შემთხვევაში, ქართულ-რუსულის შემდეგ).

თვალებში ნაცრის შეყრას შეჩვეულები ვართ, მაგრამ ასეთმა შეყრებმა დაბრმავების ნაცვლად ბევრ რამეზე და ვინმეზეც(!) აგვიხილა თვალები (ყველას თუ არა – უმეტესობას; მაშინვე თუ არა – საკმაოდ სწრაფად). უბედურება ის არის, რომ ამჯერად ეს – ინგლისურზე გაკეთებული ორიენტირი არ არის ხალხის დროებით დასაშოშმინებლად მოფიქრებული აქცია, ეს არის სტრატეგიული გეზი ქვეყნის „განვითარებისა", რომელიც შეუქცევად გადაგვარება-გადასახლებამდე მიგვიყვანს.

იხ. 4 გვ.

◉ მწარე ფიქრები

# ინგლისელი „ყივჩაღები“ და საქართველოს „წინსვლა“

(მესამე გვერდიდან)

ამ მასწავლებლებს კი ადარებენ (ვინც ადარებს) „ყივჩაღებს“, მაგრამ მათი შედარება არათუ ჭეშმარიტ ყივჩაღებთან, არამედ, საერთოდ, არავისთან და არაფერთან არ შეიძლება (დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოსახლებულ 50 000 ყივჩაღს არც ქართული ცნობიერების შეცვლა გამოუწვევია და არც — ქართველების აყრა ლუკმაპურის საძიებლად). არ შეიძლება, რადგანაც ეს დროებითი, 4-წლიანი ჩამოსახლება თუნდაც მართლა მასწავლებლებისა (და არა „თავისუფლების ინსტიტუტის“ დარი არასამთავრობო ორგანიზაციების ან სპეცსამსახურების დავალებით გამოგზავნილი ხალხისა) კატასტროფულ შედეგებს მოუტანს ისედაც გადაშენებამდე მისულ ქართველ ერს.

უცხო ენის, თანაც მსოფლიოში გაბატონებული ინგლისურის ცოდნას რა სჯობს, მისი შესწავლის წინააღმდეგი, თითქოსდა, ვინ სულელი უნდა იყოს, თავისთავად ენის ცოდნამ როგორ შეიძლება ერს ზიანი მოუტანოს, უცხო ენის ყადრი ჩვენს ხალხს ხომ ყოველთვის კარგად ესმოდა — „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო“, ამბობდნენ (დღეს, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, აღარავინ ახსენებს ამ გამოთქმას). ერთი შეხედვით, ეს მართლაც ასეა, მაგრამ **უცხო ენის საყოველთაო სწავლებას მაშინ აქვს გამართლება, როცა ერი შეძლებულია და განათლებული, როცა ცხოვრება აწყობილი აქვს და ენების ცოდნა მას კიდევ უფრო ეხმარება წინსვლაში (მეურნეობა-წარმოება-მეცნიერებაში),** წინსვლაში და არა — ცხრამთას იქეთ საშოვარზე წასვლა-გადაკარგვაში. როცა ერი მათხოვრობამდეა მისული და ამის გამო მისი ერთი მესამედი მსოფლიოსაა მოდებული, ხოლო დარჩენილი მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი სიღატაკის ზღვარს იქეთაა, მაშინ ენის ცოდნა დამატებითი სტიმული ხდება შრომისუნარიანი ხალხის ემიგრაციისა — ინგლისური ხომ უცხო მხარეში სამუშაოს შოვნის მეტ შანსს იძლევა. და თუ დღეს 1,5 მილიონი კაცია დაკარგული საქართველოსთვის, ხვალ ერთი იმდენი მიემატება. სწორედ ეს იქნება „დიდი ნახტომი“; სამაგიეროდ ერთიორად და მეტად გაიზრდება წასულების მიერ გადმორიცხული თანხა — ახლა თუ 1,5 მილიარდ დოლარამდე შემოდის, ხვალ ორჯერ მეტი შემოვა, ერთ სულ აქ დარჩენილზე გადაანგარიშებით კი იგი დაახლოებით 34-ჯერ გაიზრდება. აი ეს კი, უკვე იქნება „დიდი წვლილი საქართველოს განვითარების საქმეში“. ასე რომ, კარგ მთქმელს კარგი გამგონიც სჭირდება — უბრალოდ, „წინსვლაში“ და „დიდ ნახტომში“ წასვლა და ცხრაზღვას იქეთ გადახტომა უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო „ქვეყნის განვითარების საქმეში შეტანილ დიდ წვლილში“ — გადმორიცხული თანხის მკვეთრი ზრდა, ისიც მანამ, სანამ დატოვებული მშობლები და სხვა ახლობელი მოხუცები ცოცხლები იქნებიან (ასეთი დაბერებული მოსახლეობა დღეს რომაა საქართველოში, მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოში არ მეგულება; სწორედ ამის გამოაშკარავება, საერთო რაოდენობის მკვეთრად შემცირებასთან ერთად, არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ტარდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერა).

ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ნებისმიერ 18-20-წლიან მონაკვეთში, თუნდაც, ასწლიანში (გამუდმებული შემოსევების პერიოდიდან) 1,5 მილიონი ქართველი არასდროს დაუკარგავს საქართველოს! ეს მოხდა მხოლოდ ჩვენი ე.წ. დამოუკიდებლობის პერიოდში, აქედან 99 პროცენტი მშვიდობიანი (!), უსისხლო დანაკარგია, და ამ დანაკარგს ბოლო ჯერ კიდევ არ უჩანს!

არცოდნა არცოდვააო, ნათქვამია, მაგრამ როცა ცოდნაც გვაქვს, თვალებახელილებიც ვართ და წლებია ვრწმუნდებით — მოუსავლეთში ჩვენი წასვლის მიზეზების დამარცხებისთვის მხოლოდ ცარიელი სიტყვის ძალა საკმარისი არ არის, და მაინც მას ვებღაუჭებით, მაშინ უკვე დიდ ცოდვას ვიდებთ კისერზე. კი ბატონო, სიტყვას დიდი ძალა აქვს, სიტყვა ხომ იგივე წიგნია, მაგრამ ისევე, როგორც „მარტო წიგნიდამ გამოხედვა არვარგა“, ისე არ ვარგა, არ კმარა მარტო სიტყვა, **სიტყვას მხოლოდ პოტენციური ენერგია აქვს** და ასეთივედ შეიძლება დარჩეს იგი ათწლეულების მანძილზე, **სიტყვას თუ საქმე არ მოსდევს, ის ლაყბობაა.**



სამწუხაროდ, **ოპოზიციის ლიდერებს ურჩევნიათ ხელისუფლების მიზეზით ასობით, თუნდაც ათასობით უდანაშაულო ახალგაზრდა დაიღუპოს და ამას მოთმინებით, მხოლოდ ენის ფხანით გამოეხმაურონ, ვიდრე მათი მიზეზით ერთი ან რამდენიმე კაცი შეეწიროს ქვეყნის ხსნას**. ამის თაობაზე ხომ არაერთხელ განუცხადებიათ თავად ხმამაღლა. ყოველგვარი რისკის და მსხვერპლის გარეშე დიქტატორული ხელისუფლების მშვიდობიან ცვლას რა სჯობს, მაგრამ ასეთი რამ ისტორიამ არ იცის, და არც არასოდეს ეცოდინება!

რაც შეეხება მოუსავლეთში წასვლას, მარტო „იმ“ ქვეყანას წასვლა არ მიგულისხმია, სადაც ადრე თუ გვიან ყველანი მივდივართ. მოუსავლეთია ის ქვეყნებიც (რუსეთი, ამერიკა და ბევრი სხვა), საიდანაც პრაქტიკულად არავინ არ უბრუნდება დედა-სამშობლოს. სამწუხაროდ, ხელისუფლება ისეთ პირობებს გვიქმნის შეგნებულად, რომ იძულებულს გვხდის ჩვენი ნებით ავიკრათ გუდა-ნაბადი. მან კარგად იცის მარტივი ჭეშმარიტება — **სიკვდილის შიშით ან შიმშილით სიკვდილის პირამდე მიყვანილი, საცხოვრისიდან აყრილი და უცხო მხარეში გადახვეწილი ადამიანი, გარდაცვლილიც კი იშვიათად ბრუნდება მშობლიურ მხარეში.** უცხოეთში წასულებიდან თითქმის არავინ არ მოისურვებს იმ გარემოში დაბრუნებას, სადაც უმუშევრობა, სიღატაკე და უსამართლობა ერთადაა გამეფებული, თუნდაც ამ ადგილს სამშობლო ერქვას. ინგლისურის ცოდნა მათთვის ვერ გახდება საქართველოში ჩამოსასვლელი სტიმული, არც ერთ მათგანს არ მოუნდება თურქ-არაბების და გაქსუებული ქართველების სამსახურში „სერვისმენ“-ებად, გიდებად და მზარეულებად ჩადგომა, თანაც მათხოვრული ანაზღაურებით.

რაც ყველაზე მთავარია, **თუ სამშობლოს (მიწის, მშობლების, ხშირად ცოლ-შვილის) დატოვებას უკიდურესი გაჭირვება და უსამართლობა განაპირობებს, უცხოეთში ფეხმოკიდებულების ( გასაკუთრებით ოჯახებით წასულების ან იქ დაოჯახებულების) უკანვე დაბრუნებას, ვთქვათ 20-25 წლის შემდეგ, მარტოოდენ ეს ფაქტორები აღარ განსაზღვრავენ** — ყველანაირად ნორმალური საცხოვრებელი გარემოს შექმნის შემთხვევაშიც, პრაქტიკულად, აღარავინ არ ბრუნდება უკან თავის დედულ-მამულეთში შედარებით ნორმალურ სახელმწიფოებშიც კი.

საქმე ის არის, რომ უცხო გარემოში მოხვედრილი ზრდასრული კაცი 20-25 წლის შემდეგაც ინარჩუნებს ყველაფერ ეროვნულს და სამშობლო მიწის ყივილი მას მოსვენებას არ აძლევს სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ შვილები, ვინც იქ დაიბადა ან პატარები მოხვდნენ უცხო ნიადაგზე და იქ დაიზარდნენ განსხვავებულ ადათ-წესებზე? იქაურ სწავლა-განათლებას დაწაფებულნი და იმ სახელმწიფოს მოქალაქეებად ჩამოყალიბებულნი? ისინი ხომ მხოლოდ გვარით იქნებიან ქართველები და არა — სულით, უცხო გარემო ხომ თავის დაღს ასვამს და თავის ყაიდაზე აყალიბებს ყველა ერის შვილს განურჩევლად?! მათთვის უკვე საქართველო იქნება უცხო ქვეყანა, უცხო ენით და რთულად გასაგები ტრადიციებით და ა.შ. და ა. შ. ბევრი ქართული ოჯახი იმასაც ვერ ახერხებს, რომ წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოიყვანოს პატარები ბებია-ბაბუასთან და სანათესაოსთან ჩასახუტებლად და, მაშასადამე, ქართული ენის და საქართველოს არდასავიწყებლად. არადა გაუცხოებისთვის, სამწუხაროდ, სულ რაღაც ერთი თაობაა საკმარისი. მართალია, ყველა ერზე ვრცელდება ზემოთქმული, მაგრამ თუ ამას სხვებისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენთვის (და ჩვენს მდგომარეობაში მყოფი პატარა ერებისთვის) იგი გამოუსწორებელი ტრაგედიაა, რასაც ადამიანური რესურსების კატასტროფულ გაღინებასთან ერთად დიდის ალბათობით მოყვება ახალ-ახალი ქართული მიწების დაკარგვაც!

გაჭირვებასაც ეშველება და თავგასულებსაც მოევლება, როცა კაცი არ გარბის ან ვერ გარბის თავისი ქვეყნიდან (როგორც ეს საბჭოთა კავშირის დროს იყო), როცა არც ენას კარგავს და არც ზნე-ჩვეულებებს ივიწყებს, ანუ როცა ინარჩუნებს ყველაზე მთავარს — ეროვნულ თვითმყოფადობას. **მიწაზე დამაგრებაა უმთავრესი პირობა ერის გადარჩენისა** (ქართველი მოსახლეობა კვლავაც რომ აგრძელებდეს ცხოვრებას აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, მაშინ არაფერი გვიჭირდა, თუნდაც დღევანდელივით ოკუპირებული ვყოფილიყავით; ამიტომ, პრაქტიკულად, მხოლოდ გალის რაიონის დაბრუნებაზე შეიძლება ფიქრი, დანარჩენზე კი — მხოლოდ ოცნება)!

ინგლისურენოვან „ყივჩაღებზე“ ბევრი ითქვა და კიდევ ბევრი ითქმება, მაგრამ დაგეგმილი ოთხი წელი ყველამ ინგლისურის შესწავლას თუ მოვახმარეთ მხოლოდ და ნახირივით თავჩაქინდრულებმა, ჩვენივე ნებით ვიარეთ სასაკლაოზე, ვერავითარი ბრძნული სტატიების წერა ვერ გვიშველის.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ თითქოს ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერს ვხვდებით, მოუსავლეთში რომ მივექანებით ესეც ვიცით, და მაინც უდრტვინველად მივუყვებით ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს დასასამარებელ გზას. ცხვარმა ის მაინც არ იცის, დასაკლავად როცა მიჰყავთ, ჩვენ კი ვიცით და მაინც ვილაცის და რაღაცის იმედზე ვართ. პარადოქსულია, მაგრამ **ნაწილს გვგონია, რომ რახან ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ, ყველაფერი თავისით მოგვარდება ჩვენდა სასიკეთოდ, ჩვენ ხელებგაუნძრევლად; მეორე ნაწილს კი, რაც არანაკლებ პარადოქსულია, იმათი იმედი გვაქვს, ვისაც ჩვენი გადაჯიშება-დაკაბალება აქვს გუნებაში!**

ჰოდა, ვინღა დარჩება საქართველოში, ვინ დაიცავს ქართულ მიწას? ვინ და, რამდენიმე ათეული ათასი ამ მთავრობას მორგებული შეძლებული კაცი (ვისაც ბავშვები უცხოეთში ეყოლებათ გაგზავნილი სასწავლებლად ან ადგილზე ამერიკულ სკოლებში მიბარებული); ამ ქართველების და უცხოელი ტურისტების სამსახურში ჩამდგარი რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი; და კიდევ — მილიონამდე ორი პარასკევდარჩენილი, სახელმწიფოსგან ბედის ანაბარად მიტოვებული პენსიონერი, რომელთაც ის ორი პარასკევიც უმოკლდებათ ოპოზიციონერი ლიდერების არასწორი ნაბიჯებით გულგატეხილებს.

აი, მაშინ ნახეთ თქვენ ზაირამობა თურქ-სომეხ-თათარ-რუსებისა აჭარიდან კახეთამდე!

**იაკობ ლეჟავა**

◉ გამოხმაურება

# არა, ეს არ შეიძლება!

**ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა თემურ მირიანაშვილის წერილი, „ვინ არის საქართველოს ისტორიაში ყველაზე საზიზღარი მოღალატე?“ ის, რომ ამ ერთი თვის მანძილზე აღნიშნულ წერილს მკითხველისგან რეაგირება არ მოჰყოლია, დამაფიქრებელი ფაქტია. როგორც ჩანს მკითხველმა თავი შეიკავა და ამ საჩოთირო საქმეში არ ჩაება.**

ახლა მთავარი ვთქვათ: ვის აძლევს ხელს, რომ დღევანდელ სიტუაციაში მოვჩხრიკოთ ჩვენი ქვეყნის ყველა დროის მოღალატე? რას მოგვცემს იგი, ან რა სიკეთეს მოიტანს? მე მგონი, არაფერს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რას იტყვიან ჩვენზე რუსები, აფხაზები და ოსები. არც სომხები და აზერბაიჯანელები დაგვაკლებენ ხელს. უბრალოდ, ყველა დაგვცინებს. მე ასე ვფიქრობ: ამ ნაბიჯით ჩვენ მოწინააღმდეგეთა გულს გავახარებთ, მათ წისქვილზე მივუშვებთ წყალს. ერთი წუთით დავუშვათ, რომ მართლაც დავასახელეთ ეს საშინელი მოღალატე. გეკითხებით, რას შესძენს ეს დღეს ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანას და ერს. ჩემი აზრით, ცუდის გარდა არაფერს. ეს სიკეთეს ვერ მოიტანს.

თუ წერილის ავტორს სურდა, ამ საჭოჭმანო საკითხის როგორმე გარკვევა, დასმულ კითხვაზე პასუხი თვითონ არ უნდა გაეცა, თავი შეეკავებინა, საზოგადოების აზრს უნდა დალოდებოდა. ალბათ იგი, ასე რომ მოქცეულიყო, ეს წერილი ურეაგირებოდ არ დარჩებოდა. ავტორმა თავისი თავი თვითონვე ჩიხში მოაქცია. ჩვენი ქვეყნის დღევანდელ სიტუაციას ისტორია მომავალში სათანადოდ განსჯის და შეაფასებს.

**დურმიშხან ცინცაძე**

◉ ინფორმაცია

# სეპარატისტები კვლავ ჩვენს მოქალაქეებს აპატიმრებენ

ოსი სეპარატისტები ირწმუნებიან, რომ ბოლო ხუთი დღის განმავლობაში ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს „სახელმწიფო საზღვარი“ საქართველოს ხუთმა მოქალაქემ დაარღვია.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, 3 ოქტომბერს ცხინვალის რაიონის არცევის დასახლებული პუნქტის სიახლოვეს, ადმინისტრაციული საზღვრიდან 350 მეტრის დაშორებით დაკავებულია მამაკაცი, რომელსაც პირადობის დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტი არ გააჩნია. მამაკაცი ე.წ. სამხრეთ ოსეთში მოქმედი რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლებმა დააკავეს.

რუსი ოკუპანტები ირწმუნებიან, — თავად დაკავებული მამაკაცი აცხადებს, რომ იგი საქართველოს მოქალაქეა. მისი სიტყვებიდან ირკვევა, რომ იგი არცევის დასახლებულ პუნქტში მიდიოდა. ამჟამად სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტზე საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს, — იუწყებიან რუსი ოკუპანტები. მათივე ინფორმაციით, მალე დაკავებულ მამაკაცს შემდგომი გამოძიებისათვის ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურს გადასცემენ.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი იუწყება, რომ ადამიანები, რომლებიც ე.წ. სახელმწიფო საზღვარს არღვევენ, შემდგომი გამოძიების მიზნით ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროებაში არიან გადაყვანილნი.

ჯი-ეიჩ-ენი

ოპოზიცია

# არადემოკრატიულსა და შეუსრულებელს არაფერს ვითხოვთ

## ოპოზიციამ საარჩევნო კანონის პროექტზე შეთანხმება მოახერხა, ჯერი – ხელისუფლებაზეა

***ადგილობრივი** არჩევნების წინ რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ განაცხადა, რომ არსებული საარჩევნო კანონმდებლობითაც კი შეიძლებოდა ობიექტური არჩევნების ჩატარება. არჩევნების დამთავრების შემდეგ კი აცხადებდნენ, რომ კოდექსში სერიოზული ცვლილებების გარეშე გამარჯვება შეუძლებელია. რამდენიმე თვის წინათ სწორედ ამ იდეის გარშემო გაერთიანდნენ ფორუმელები, კონსერვატორები, რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, მემარჯვენეები, საქართველოს გზა, ქრისტიან-დემოკრატები და ხალხის პარტია. რამდენიმე ღია კონსულტაციის შემდეგ საკვანძო საკითხებზე შეთანხმება მოახერხეს და საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების ერთობლივი პროექტიც უკვე მზადაა.*



გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ კონფერენციის გარშემო სამსჯელოდ ამ პოლიტიკურმა პარტიებმა არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები და ის საერთაშორისო სტრუქტურები მოიწვიეს, რომლებიც საარჩევნო პროცესში უშუალოდ არიან ჩართულები.

ოპოზიციის მიერ შესატანი ცვლილებების პროექტი შემდეგ ძირითად საკითხებს მოიცავს: საქართველოს პარლამენტის არჩევნების საარჩევნო სისტემას (პროექტის მიხედვით საქართველოს პარლამენტის 75 წევრი ერთიანი პარტიული სიით უნდა აირჩეს პროპორციული სისტემით, ხოლო 75 დეპუტატი – პროპორციული სისტემით, რეგიონული სიებით); უნდა შეიცვალოს ამომრჩეველთა სიების შედგენის წესი (ამომრჩეველთა შედგენა უნდა მოხდეს ბიომეტრიული პარამეტრების შემცველი პირადობის მოწმობების საფუძველზე). არჩევნების დღეს ხმის მიცემა უნდა მოხდეს ბიომეტრიული პირადობის მოწმობებით. ყველა საარჩევნო უბანზე უნდა დამონტაჟდეს ვიდეოთვალი. არჩევნების დღეს, საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის დაწყებისა და მისი დასრულების შემდეგ საუბნო კომისიის ბეჭდებზე უნდა გაკეთდეს თითო საკონტროლო ნაკვეთური. ხმების დათვლის დროს კეთდება ბიულეტენების სკანირებული ასლები, რომლებიც ინახება კომპიუტერის მეხსიერებაში. ამ ასლების ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი უნდა იყოს არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციისთვის.

იცვლება საარჩევნო დავების განხილვის სისტემის წესიც – საარჩევნო დავების განსახილველად სააპელაციო სასამართლოში იქმნება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა ჯგუფი. საარჩევნო დავების განსახილველად შეიქმნება კოლეგიები მოსამართლის და ოთხი საარჩევნო მსაჯულის შემადგენლობით. საარჩევნო მსაჯულების ძირითადი ნაწილი შეირჩევა კვალიფიციური პოლიტიკური პარტიებისა და სათანადო პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესს, ცესკო კომპლექტდება შვიდი კვალიფიციური სუბიექტის მიერ პარიტეტის დაცვით; ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრების შერჩევაზე ცხადდება კონკურსი და ვაკანტურ ადგილებს იკავებენ ის კანდიდატები, რომელთაც საგამოცდო ტესტებში ყველაზე მაღალი ქულები ექნებათ. ყველა კვალიფიციურ პარტიას საარჩევნო უბანზე ეყოლება წარმომადგენლები, რომლებიც საუბნო კომისიის წევრთან ერთად მონაწილეობენ შემდეგ პროცედურებში: ყუთთან დგომა, ბიულეტენის გაცემის პროცედურები, ხმის დათვლის პროცედურა, რეგისტრაციაში ატარებენ საარჩევნო ადმინისტრაციაში შემოსულ საჩივრებს, საოლქო და ცენტრალურ კომისიებში იღებენ და რეგისტრაციაში ატარებენ შემაჯამებელ ოქმებს.

ეს ის ძირითადი ხუთი პირობაა, რომელმაც არჩევნების გაყალბებას უნდა აგვარიდოს.

კონფერენციას ყველა საპარლამენტო ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი დაესწრო, პარტია „თავისუფლების“ გარდა. მოწვეული იყვნენ კვალიფიციური პარტიები, მაგრამ, „ლეიბორისტები“ შეხვედრას არ დაესწრნენ. ეროვნულ-დემოკრატებმა ამ რამდენიმე დღის წინათ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ექსპერტებთან შეხვედრა გამართეს, თუმცა „შერატონ-მეტეხი პალასში“ არ გამოჩნდნენ.

ეროვნული ფორუმი კი ყველას მოუწოდებს, იქამდე შეძლონ გაერთიანება და აზრების შეჯერება, ვიდრე მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებოდნენ: **„ჩვენ – ოპოზიცია, უნდა ვიყოთ საერთო აზრზე, ერთი შეთანხმებული იდეის გარშემო და ხელისუფლებას დათმობაზე წასვლა მოვთხოვოთ. ისე არ უნდა მოხდეს, რომ რამდენიმე ოპოზიციური პარტიის გარემოცვაში, ნაციონალებმა „ხმათა უმრავლესობით“ საკუთარი მოთხოვნების და პირობების გატანა შეძლონ“,** – აცხადებენ ფორუმელები.

იმის მიუხედავად, რომ თავისუფალი დემოკრატების კონკრეტული მოთხოვნა ახალი კონსტიტუციის 80-ე მუხლს შეეხებოდა, რითაც ექს-პრეზიდენტს ქვეყნის უმაღლეს თანამდებობაზე მოსვლა უნდა აკრძალვოდა, ასევე აქტიურად თანამშრომლობდნენ საარჩევნო კოდექსის ახალ პროექტზეც. **ირაკლი ალასანიას თქმით, „თითქმის პირველად მოახერხა ოპოზიციამ საარჩევნო კოდექსის ერთობლივ ხედვაზე შეთანხმება. ყველა პოლიტიკურ ძალას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ობიექტურ და თავისუფალ არჩევნებში, ამომრჩევლის ნება კი დაცული უნდა იყოს.“**

კონსერვატორების ლიდერის განმარტებით ოპოზიცია ხელისუფლებისგან არადემოკრატიულს არაფერს ითხოვს. **„უახლოეს მომავალში კონსულტაციებს ხელისუფლებასთან დავიწყებთ და საზოგადოება თავად დაინახავს წამოვლენ თუ არა ნაციონალები მოლაპარაკებებზე. თუკი უარს იტყვიან, ამას სერიოზული ახსნა-განმარტება დასჭირდება მათი მხრიდან“,** – ამბობს ზვიად ძიძიგური.

ცვლილებების შესახებ პროექტის უმთავრესი პირობა ბიომეტრიული პასპორტების აუცილებლობის შემოღების წესს შეეხება. ამის მომხრეთა 130-ათასიანი ხელმოწერა უკვე შესულია პარლამენტში, რომლის განხილვაც უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს.

**თეა მოსია**

შიდა ქართლის დღეები



# იმ დღეს გორში მშვიდობამ გაიმარჯვა

გორის ულამაზესი სოფლების – ბერბუკის, შავშვების, კარალეთის, ტირძნისის, ძევერის, შინდისის, ტყვიავის, ვარიანის, ხელთუბნის და სხვათა მკვიდრებს, ქართლელ გუთნისდედებს საკუთარი ოჯახის ჭირისა და ლხინის მთავარი ატრიბუტი, ოჯახების მთავარი სიმდიდრე – ღვინო ჩამოურიგებიათ დახლებზე და დეგუსტატორთა განაჩენს ელოდებიან...

ოჯახური ღვინოების ფესტივალი ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება იყო 2 ოქტომბერს გორში გამართული შთამბეჭდავი ზეიმისა – შიდა ქართლის დღეები.

გორის ცენტრალურ მოედანზე, მუნიციპალიტეტისა და გამგეობის შენობის წინ სახელდახელო სცენაც იყო მოწყობილი, სადაც თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ბავშვთა ანსამბლმა „მართვემ“ მრავალჟამიერი დააგუგუნა, ადგილობრივმა მოცეკვავეებმა კი საკუთარი ხელოვნებით მოხიბლეს ზეიმის სტუმრები...

– ამდენი ხალხი გორის ქუჩებში კარგა ხანია არ მინახავს, ან გორელები ვისზე ნაკლებნი ვიყავით, შემოდგომაზე საკუთარი ქალაქისა და მხარის ოქროსფერი ჭირნახულის დღეები არ აღგვენიშნა, – ღიმილით მეუბნება მეჯვრისხეველი ქალბატონი თამარ ოქრიაშვილი...

– მარტო ომი და საშინელება ხომ არ უნდა ვნახოთ, ცოტა ვიმხიარულოთ კიდეცა, – ამბობს ხაშურელი ანდრო კაპანაძე და იქვე ახლოს მდგარ ქოხთან (ხაშურელების მინისიმდიდრე რომ გამოუფენიათ) ეპატიჟება ყველას... სუფრას, რა თქმა უნდა, ჩიტის რძეც არ აკლია...

ქალაქის ცენტრიდან ვიდრე გორის ციხის ბოლო, ჩამოშლილ ქონგურებამდე ჩამწკრივებულან ქართლის ულამაზესი სოფლების წარმომადგენლები. ყველგან დუღს თათარა, ავლებენ ჩურჩხელებს, შიშხინებს მწვადი, იხარშება სოფლის დედლები... ცეკვასა და სიმღერაში ეჯიბრებიან ერთმანეთს... ზღვა ხალხი ნება-ნება მიიწევს მაღლა, გორის ციხისკენ...



იქ, მრავალჭირგადანახადი ციხის ეზოში, სახელდახელო სცენაზე მღერიან ქართული ესტრადის ვარსკვლავები. მუსიკისა და ქართული სიმღერის ხმა ეფინება „ბინდისფერ“ ქართლის ველებს და მთელ კავკასიონს... კარგია, რომ ხალხი ზეიმობს, ირგვლივ ახალგაზრდები, ბავშვები, ციცქნა გოგო-ბიჭები ცეკვავენ. ანსამბლ „ალილოს“, „ქართული ხმების“, თეატრალური უნივერსიტეტის კვარტეტის, დათუნა სირბილაძის და სხვათა სიმღერებზე კი იქაურობა ტაშით „ინგრევა“.

საღამოს, ხალხით გადაჭედილ გორის ცენტრალურ მოედანს კვლავ ეფინება პოპულარული ანსამბლების – „ეგ არის“ და „მგზავრების“ საამო ჰანგები.

„ქართლის დღეების“ დაგვირგვინება ფეიერვერკმა, რომელიც განსაკუთრებით გორელ პატარებს ესიამოვნათ...

– კმაყოფილი ვარ, „ქართლის დღეები“ ასე მრავალფეროვანი რომ გამოვიდა. გულწრფელი მადლობა ყველას, ვინც მხარში ამოგვიდგა და ჩვენი დღეების პატივი გაიზიარა. გორი, გორელები, კასპელები, ქარელელები და ხაშურელები ნამდვილად ღირსია იმისა, რომ წელიწადში ერთხელ თავი მოიყარონ და მშვიდობა დალოცონ, – გვითხრა ბოლოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა შიდა ქართლში ზურაბ არსოშვილმა.

ჭეშმარიტად, იმ დღეს გორში მშვიდობამ, მეგობრობამ და სიყვარულმა გაიმარჯვა.

**რუსუდან ქოგულია,**
**გორი-თბილისი.**



ინფორმაცია

## კვლავ ქამრების შემოჭერის იმედზე ვართ

**2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი განსახილველად უკვე პარლამენტშია გადაგზავნილი. როგორც ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა განაცხადა, მომავალი წლის ძირითადი ფინანსური დოკუმენტის პროექტის მიხედვით, შემოსავლები და ხარჯები განისაზღვრა 6 მილიარდ 960 მილიონი ლარით, საიდანაც 5 მილიარდ 300 მილიონი ლარი საგადასახადო შემოსავლებია, რაც მთლიანი ბიუჯეტის 76%-ს შეადგენს. ბიუჯეტის პროექტის მიხდევით, განსაზღვრულია 2011 წელს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 3.5 პროცენტით.**

**მნიშვნელოვანია, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში აისახა მთავრობის ე.წ ქამრების შემოჭერის პოლიტიკა და დოკუმენტში მნიშვნელოვნადაა შემცირებული ადმინისტრაციული ხარჯები.**

**ამავე დროს, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსების ძირითადი ნაწილი კვლავ მიიმართება განათლების, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

№ 185. სამშაბათი, 5 ოქტომბერი, 2010 წელი.

ჩვენი ლეკი


ალი ისაევ-ავარსკი,
მხატვარი გიგი კეშელავა

# „დაღესტნური რტო ქართულ მუხაზე“

დაღესტნის ცის ქვეშ
გამოჩეკილ
ოცნებას ჩემსას
ფრთები შეასხა მშვენიერმა
ქართულმა ზეცამ!..

ალი ისაევ-ავარსკი

*დაგვიანებით შევდივარ რედაქციაში. უწინდელისგან განსხვავებით (გამომცემლობა „სამშობლოში“ ჩვენ-ჩვენი სამუშაო ოთახები რომ გვქონდა), ახლა ყველანი ერთ დიდ ოთახში ვართ თავშეყრილნი და ერთმანეთის სტუმრებსაც ახლო ნაცნობებივით ვესალმებით. რედაქტორის მაგიდის გვერდით სავარძელში ხმელი, ასკეტური სახის, გარუჯული, სიმპათიური მამაკაცი ზის. დაკუთნულ სხეულზე ეტყობა, რომ ახალგაზრდობაში სპორტთან მწყრალად არ უნდა ყოფილიყო. იერით მთიელსა ჰგავს. იგი გულისყურით მისჩერებია ჩვენს რედაქტორს, რომელიც კარგა მოზრდილ წიგნს ფურცლავს, დროდადრო რომელიღაც ფურცელზე შეაჩერებს მზერას, სწრაფად ჩაიკითხავს და მოწონებით თუ ინტერესის ნიშნად თავს იქნევს.*

*ხელით მანიშნებს „მოდიო“.*

*— გაიცანი, ალი ისაევ-ავარსკი... — და სტუმრის წიგნს მაწვდის, — წაიკითხე, გაეცანი, ბატონ ალისთანაც პატარა ინტერვიუ გავაკეთოთ და მივცეთ შემდეგ ნომერში.*

*ასე გავიცანი ბატონი ალი, რომლის შესახებაც ბევრი რამ ვიცოდი ჩემი სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, პირადად მისი ხილვის შესაძლებლობა კი არ მქონდა. მასზე ლეგენდები დადიოდა.*

*არ ვამეტებ.*

*მსახიობი, პოეტი, მწერალი, ხელოვანი, სცენარისტი, რეჟისორი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის, შამილის საპატიო ორდენის კავალერი, რაც მთავარია, ჩემს სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი, ძმადნაფიცობის უძველესი წეს-კანონის მატარებელი. მოდი და ორიოდ შეკითხვა მიეცი და მთელს მისი შემოქმედებაზე ამ ორიოდ სტრიქონში ჩაატიე ყველაფერი. არ ეგების და ვერც შეძლებ.*

*ამიტომაც...*

*თითქმის კვირა გადის, ბოლომდე ვკითხულობ ბატონი ალის ერთ-ერთ ბოლო წიგნს „გულის ძახილი, სისხლის ყივილი“, რომელიც წლეულს გამოიცა. უსახსროდ დარჩენილ ხელოვანს დახმარების ხელი მეგობრებმა, ახლობლებმა გაუწოდეს და ამ შესანიშნავმა წიგნმაც დღის სინათლე იხილა. ორჯერ გადავიკითხე და მახსენდება ჩემი სტუდენტობისდროინდელი გატაცება ამ დიდებული პიროვნების შემოქმედებისადმი. მისი კრებულები „დაღესტნური რტო ქართულ მუხაზე“, „გზა მშვიდობისა!..“, „ამბავი ერთი სიყვარულისა“, „მთიელი ჭაბუკის ფიცი“, „არწივების ბუდე“ ხელიდან ხელში გადადიოდა. მანამდე კი პოეტს იმდროინდელი პოპულარული ჟურნალი „Литературная Грузия“ მოეფერა. ეს იყო 1970-იანი წლების დასაწყისი. შემდეგ ავტობიოგრაფიული რომანი „ქვეყანა, სადაც სიყვარული ბატონობს“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტები ქართველი და დაღესტნელი ხალხების მეგობრობის შესახებ.*

*ახლა ფილმები...*

*ბატონი ალი გადაღებულია 35 მხატვრულ ფილმში. მისი აღნაგობა და მსახიობური ნიჭი არ გამოპარვია არამარტო ქართველ რეჟისორებს, არამედ ყოფილ საბჭოეთის კინემატოგრაფისტებს. საქართველოს დამსახურებული არტისტი ალბათ გემახსოვრებათ ისეთ ფილმებში, როგორებიცაა „ჩრდილი შამილის ხმლებქვეშ“, „კავკასიელი ტყვე“, „წიგნი ფიცისა“, „კოლხური ბალადა“ და სხვა.*

*ხუნძურ ენაზე შექმნილი მისი ლექსები თარგმნილია რუსულ და ქართულ ენებზე და რამდენიმე კრებულშია თავმოყრილი. ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორებმა სანდრო მირიანაშვილმა, ნუნუ გაბუნიამ, ოთარ თევდორაძემ, შალვა დავითაშვილმა, ვაჟა აზარაშვილმა და ბებო ჯაიანმა შესანიშნავ სიმღერებად აქციეს მისი პოეზიის მარგალიტები.*

## დედის ანდერძი

ალიონიდან ... — ანუ: აცრიატებული დილა იდგა. აფორიაქებულ, მოყაყანე, მოფუსფუსე ფუტკრის სკასავით აზუზუნებულ სადგურში შეაბიჯა სრულიად ყმაწვილმა ბიჭმა ხის ჩამოდნითა და ფეხზე ჩინური „სანდლებით“. იგი მრავალი წლის ყარიბობის შემდეგ პირველად ეწვია იმ მხარეს, რომლის მონახულებაც მოხუცმა დედამ სიკვდილის წინ დაუბარა. რა იცოდა მაშინ, გასული საუკუნის სამოციან წლებში, აულ ოგოხში დაბადებულმა და გაზრდილმა ბიჭმა, რომ ეს წუთი იქნებოდა გადამწყვეტი მის ცხოვრებაში. ვინ იყო იგი? დაღესტნის მთებში, საჯიხვეთსა და არწივთა სამფლობელოში მიყუჟულ აულში გაზრდილი ჭაბუკი, ალალი, სუფთა, როგორც მთის წყარო და დილის ნამი, შემდგომში ბევრჯერ ნაღალატევი და გულგატეხილი, მაგრამ არაიმედჩამკვდარი. მისი აულის კიდის მთიდან ხელისგულივით ჩანდა ამქვეყნიური სამოთხე, რომელსაც საქართველო ერქვა და სადაც ხშირად დათარეშობდნენ მისი წინაპრები. ხან ნისლი ბურავდა სამოთხის შემოგარენს, ხანაც ცისარტყელას ფერებით იყო აციალებული. სიკვდილის წინ დაუბარა დედამ ყმაწვილს: **„შვილო, მხარე, სადაც მზე ჩადის, საქართველოა, სამოთხედ წოდებული. თუ ოდესმე მოხვდები იქ, პატივისცემა გამოავლინე ამ ქვეყნისა და მისი ხალხის მიმართ.**

## ეს იყო...

დიდი ქალაქი არასოდეს ენახა ბიჭს. თავის აულში ლაღად იყო, მოსავალიც ჰქონდათ, გაჭირვებით თავიც გაჰქონდათ, ყონაღთა გატანა და ფიცის ერთგულება იცოდნენ, წინაპართა საფლავებს არ არცხვენდნენ და ბედითაც კმაყოფილნი იყვნენ. თავადაც ასეთი იყო მთის შვილი. ერთია, გამორჩეული გახლდათ თანატოლებში ბაგირზე ცეკვასა და ოსტატობაში, მოქნილობა და სიმამაცე დაჰყვა ბავშვობიდან. ერთხელაც გადაწყვიტა დიდ ქალაქს სტუმრებოდა, მისთვის ყველაზე დიდი ქალაქი დუნიაზე მახაჩყალა იყო და იქ ამოჰყო თავი ორიოდ გროშით. პირველად ნახა მანქანები და ავტობუსები, მატარებელშიც ჩაჯდა და... უბილეთოდ, ულუკმაპუროდ თავი მოსკოვში ამოჰყო, საბჭოეთის დედაქალაქში, რომლის ერთი ქუჩაც კი ბევრად დიდი იყო მის აულზე.

ორჯერ იქორწინა. როგორც თავად იხსენებს იმ წლებსა და უიღბლო სიყვარულს, არცერთხელ არ გაუმართლა – „ორივე ჩემი სიმამრი მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ. ორივე ცოლმა ერთი და იგივე მიზეზი დაასახელა, თითქოს მოილაპარაკესო: ალი, შენ აზიელი ხარ. ჩვენ ცხოვრებაში დრო გვინდა გავატაროთ, არ გვინდა შენი მოტყუება... და მოდი, მეგობრებად დავცილდეთ ერთმანეთს“. ეს იყო ნოვოსიბირსკში.

## გატეხილი ფიცი, რომელიც ღირდა ფიცის გატეხად

ნაღალატევი დაბრუნდა სამშობლოში. მშობლიურ აულს ეახლა. მწყემსად გაემწესა და ფიცი დასდო, რომ აღარასოდეს შეირთავდა ცოლს – „მორჩა, არავითარი ქალები!“ მაგრამ, მომაკვდავი დედის თხოვნა-ანდერძი გაახსენდა.

რა ლამაზად და მაცდურად მოსჩანს დაღესტნის მთებში არწივის ბუდესავით მიყუჟული აულიდან ალაზნის ველი, სამოთხედ შერაცხული მიწა, ნატრ-ნაოცნებარი საქართველო და... ნამწუხარი მიწიერი სამოთხისკენ იღებს გეზს.

თბილისი, სამოციანი წლები. ალნაბი, ავაზასავით მოქნილი, დაღესტნის მზეკარავი ავარიელი საქართველოს დედაქალაქშია და მისი პირველი გამცნობიც ღმერთმა გამოუგზავნა.

პირველად და უკანასკნელად გატეხა ფიცი ალიმ.

მზექალა იაშვილი...

**„ისეთი გრძნობა მქონდა თითქოს ბნელი გვირაბიდან გამოვედი და ლაჟვარდოვან სანაპიროზე აღმოვჩნდი. ის, რომ ამდენ გამოჩენილ ადამიანს დავუახლოვდი საქართველოში, ყოველი ჩემი წარმატება, ყველაფერი, რასაც ცხოვრებაში მივაღწიე, — მზექალას დამსახურებაა“.**

## კაცი კაცითათ

ერთგულების დაფასება იციან მთიელებმა. ქართველი ხალხის ძმადნაფიცმა და ჩვენზე უზომოდ შეყვარებულმა დაღესტნელმა პოეტმა რასულ გამზათოვმა თავის ყონაღს ირაკლი აბაშიძეს „ჩააბარა“ თანამემამულე ჭაბუკი, გზა დაულოცა, ერთგულების ფიცი შეასხეს და საქართველოში დატოვა. მართლაც გამართლება ჰქვია გამოუცდელი ბიჭისთვის, როგორც იგი თავის თავზე ავტობიოგრაფიულ რომანში წერს – მხოლოდ ბაგირზე ხტომა, ცეკვა და სალამურზე დაკვრა იცოდა – ისეთ კორიფეებთან მოხვედრა, შვილობილად, უმცროს მეგობრად და ძმადშეფიცულად ყოფნა, როგორებიც იყვნენ ილიკო სუხიშვილი, ირაკლი აბაშიძე, ხუტა ბერულავა, იოსებ ნონეშვილი, რეზო მარგიანი, ელდარ შენგელაია, რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე და ბევრი სხვა გამოჩენილი ადამიანი. მათ გაუკვალეს ახალგაზრდა ალის გზა დიდი ხელოვნებისაკენ, თარგმნიდნენ მის ლექსებს, იღებდნენ ფილმებში, იწერებოდა სცენარები, იმღერებოდა მისი ლექსები. ალი სულ მალე პოპულარული ადამიანი ხდება ხელოვანთა წრეში და არამარტო იქ.

თბილისმა შეიყვარა და თბილისი შეიყვარა ალიმ. სიყვარული კი მისთვის ყველაფერია; ყონაღებს უერთგულა და ბოლომდე გაჰყვა მათ, ბევრის ხსოვნა ჩაიკირა მკერდში, ბევრის მოფერების უფლება კვლავ გაუგრძელა უფალმა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ერთგულება კი მისთვის სიცოცხლის ტოლფასია. **„ადრე თუ ფეხმარდი ლეკები გტაცებდნენ ქალებს, ახლა ქართველმა ქალმა მომიტაცაო ლეკი ჩაუქი“** — იღიმება ალი. ამ ღიმილსაც სევდა აქვს, სათაყვანებელი მეუღლისა, უგანათლებულესი მუსიკათმცოდნის, მისი ცხოვრების მეგობრის ამქვეყნიდან უდროოდ წასვლით გამოწვეული.


„ამ დიდებული ხალხის ამაგს ვერასოდეს დავივიწყებ“. მარცხნიდან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი არჩილ ჩხარტიშვილი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, დაღესტნის სახალხო პოეტი რასულ გამზათოვი, ალის მეუღლე მუსიკათმცოდნე მზექალა იაშვილი, კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე, პოეტი რევაზ მარგიანი, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი, ალი ისაევ-ავარსკი (მეუღლის გვერდით).

## ლეკები ქართველებს არ შეეომებიან

ცეცხლის ალშია გახვეული საქართველოს ძირძველი მიწა, ულამაზესი აფხაზეთი. მესამე ძალის მიერ თავმოხვეულ ძმათა ხოცვა-ჟლეტას უკვე ასობით საჯიშე ბიჭები შეწირვია. „მთიელთა კონფედერაცია“ შეუქმნიათ ხელისმოთბობაშეჩვეულ და უძველეს ძმათნაფიცობანაღალატევ ვიგინდარებს, შეუქმნიათ და ვითომდა მოძმე აფხაზებს ვეხმარებით დამოუკიდებლობის მოპოვებაში, რათა „პირსისხლიანი ქართველებისგან“ გავათავისუფლოთო, დაძრულან კბილებამდე შეიარაღებულნი, დაუნდობელი მანქურთები. 1992 წელია. დაღესტანში

საერთაშორისო კონგრესი ტარდება, სადაც მთელს მსოფლიოში მცხოვრებ თანამემამულეთაგან შერჩეულ დელეგატებს სტუმრობენ. მათ შორისაა ალი ისაევ-ავარსკიც. მან დაღესტანში საქართველოში მიმდინარე მოვლენები უნდა გააცნოს. დავალება კი მისი უფროსი მეგობრებისგან რეზო ჩხეიძისა და აკაკი დვალიშვილისგან აქვს მიღებული. ალი ახერხებს და დაღესტნის პრეზიდენტ ბატონ მაგომედ-ალი მაგომედოვს ხვდება, მასთან ერთად სხვა მაღალჩინოსნებიც არიან. მანამდე თავისი მეორე სამშობლოს ტრაგედიაზე ადგილობრივი ტელევიზიითაც გამოდის და რამდენიმე მრავალტირაჟიან გაზეთსაც აძლევს ინტერვიუს. პრეზიდენტს მოსწონს ალის სითამამე, არადა კბილალესილი ჩრდილოკავკასიელები წკიპზე დგანან, აფხაზეთისკენ მიუწევთ გული. გონიერი პრეზიდენტი ჩაფიქრდება და ქართველთა სიძეს პირობას აძლევს: **„გპირდებით, ბატონო ავარსკი, დაღესტანი იქ არ მიიღებს მონაწილეობას“**. მან მთიელი კაცის სიტყვა შეასრულა, ერთ ლეკს არ აუღია იარაღი ქართველთა წინააღმდეგ. ლომის წილი ბატონ ალის უძევს ამ საქმეში. ახლა, წლების შემდეგ, როდესაც აუგად ვიხსენებთ უამრავ გადამთიელს, ვითომდა უხსოვარი დროიდან ქართველთა მოძმეს და ძმადშეზრდილს, ქართველ კაცს ავარიელთა წყენა არ ჩაუდვია გულში. ბატონი ალი ამაყობს და საამაყოც აქვს – **როგორ უყვარს ჩემს ხალხს საქართველო!**

## „საქართველო-დაღესტანი, მიზიდულობის ფორმულა“

ფილმი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, ფილმი, რომელიც ორ დიდ ოჯახზეა, კავკასიური ერთგულებით გაჯერებულ ოჯახებზე – საქართველოსა და დაღესტანზე, ქართველებისა და დაღესტნელების მეგობრობასა და ერთგულებაზე, ისტორიაზე. ეს ფილმი ქალბატონი მზიას სცენარით თავად ალიმ გადაიღო, ქალბატონი მზია ამ ფილმის წამყვანიცაა, კონსულტანტი რასულ გაზმათოვი გახლდათ. ათი წელია ფილმის გადაღება მიმდინარეობს, ათი წელია უსახსრობის ქვეყანაში დატრიალებული ძმათამკვლელი ომისა და არეულობის გამო, ფილმი ვერ დასრულდა. ბატონმა ალიმ მეუღლისა და მამობილის ბატონ რასულის გარდაცვალების შემდეგ თავისი ვაჟის ბექას დახმარებით შესძლო მაყურებლისთვის სულ ახლახან წარედგინა ამ ტრილოგიის პირველი ნაწილი **„რასულ გაზმათოვი და საქართველო“**. მაყურებელი და დიდი ხელოვანის თაყვანისმცემელნი ელიან კიდევ ორ სერიას – **„საქართველო დაღესტნელების თვალით“** და **„მუზეუმი ღია ცის ქვეშ“**. სამივე სერიაში ხაზგასმულია ქართველი და დაღესტნელი ხალხების ფესვების სიახლოვე.

მჯერა, რომ უდიდესი დანაკარგის, სიდუხჭირის, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად ბატონი ალი სულ მალე წარუდგენს საზოგადოებას ფილმის დარჩენილ ორ ნაწილს, ამის იმედს მისი ენერგიულობა, ოპტიმიზმი და რწმენა გვაძლევს.

## წყარო აულ ობოხში

დაღესტნის მთები. გერგებილის რაიონი. რეჟისორი ოლეგ ნიკოლაევსკი იღებს ფილმს **„წითელი ვაშლების დრო“**. ალი ავარსკი მეგობრებთან ერთადაა. ისე როგორ გაუძლებს გული, რომ მშობლიურ აულს არ ეწვიოს და მთელი გადამღები ჯგუფიც თან არ წარიტაცოს. დაითანხმა რეჟისორი და აულ ობოხისაკენ გასწიეს. აულთან არმისული მანქანას აჩერებს. ძირს ხტება და მკვირცხლად მიემართება ბორცვისკენ. ყურადღებით აკვირდება გარემოს. ვერ იპოვა რასაც ეძებდა. სახეშეცვლილი, მხრებჩამოყრილი ბრუნდება.

– წყაროს ვეძებდი.

– აქ რა წყარო უნდა იყოს?! ვერ ხედავ ადამიანის სიმაღლე ბალახებია – გაკვირვებული პასუხობს რეჟისორი.

– ჩემს ბავშვობაში იყო. იყო...



ალი ისაევ-ავარსკი ყირიმის ხანის როლში – კ/ფ „წიგნი ფიცისა“

მდიდარი იყო აული, ცხვარძროხა, ბოსტნეული... აქაურები ბარში იშვიათად ჩამოდიოდნენ. ახლა სტუმრის გასამასპინძლებლად ბარიდანააქვთ მთაში პროდუქტი. წყარო დაშრა. ასეთი ყოფილა მთას შეხიზნულთა ბედი. ასევეა ალის მეორე სამშობლო – საქართველოც. დაიცალა მთა. ბარის დარაჯი, შემფასებელი და მცველი. მთას მოფერება უნდა, პატრონი სჭირდება.

ცხოვრებისეული უსამართლობები, პრობლემები, სატკივარი წვეთ-წვეთად გროვდება ბატონი ალის სულში და შემდეგ ადგილს მის ლექსებში, ნოველებში, რომანებსა და კინოსცენარებში ჰპოვებენ ნავსაყუდელს მომავალი თაობების შესაგონებლად და გასათვალისწინებლად.

აღარ არის წყარო აულ ობუხში, დაშრა მისი ბავშვობის მაწყურებელი.

## ოჯახი – მისი ნავსაყუდელი

მისი მუზა, ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, გზის გამკვალავი, სულის ნაწილი მზექალა იაშვილი, რომელმაც ალის უნიჭიერესი და ულამაზესი ვაჟკაცი შამილ-ბექა გაუზარდა. შამილ-ბექა საზოგადოებრივი არხის პროგრამების გენერალური დირექტორია. შამილი მზექალასა და ალის ერთადერთ ვაჟს რასულ გამზათოვმა შეარქვა, ბექა კი – იოსებ ნონეშვილმა დაანათლა. შამილ-ბექამ თავისი ცხოვრების გზა გულისწორს მეგი ყურუა-ამაშუკელს დაუკავშირა, ორ შესანიშნავ შვილს უზრდიან სამშობლოს – გიორგისა და ანას. ანა დიდი ბებიის ანდერძის გამგრძელებელია. იგი პროფესიონალი მოცეკვავეა ბატონ ჯემალ ჭკუასელის ანსამბლში. ქართული ცეკვით შემოიარა საზღვარგარეთი. გიორგი კალათბურთელია, ჯამლეთ ხუხაშვილის აღსაზრდელი გახლავთ. მათით ხაროზს ცალუღელად დარჩენილი ქართველთა სიძე. ქალბატონი მზექალა ვერ მოესწრო მეუღლესთან ერთად ჩაფიქრებული ტრილოგიის **„საქართველო – დაღესტანი: მიზიდულობის ფორმულა“** ეკრანზე ხილვას. ტრილოგიის სცენარის ავტორი და წამყვანი ხომ თავად ბრძანდებოდა. უკვე მერამდენე წელია მარტო უძლვება ამ დიდი საქმის ბოლომდე მიყვანას. მიუხედავად ავადმყოფობისა და ფინანსური გაჭირვებისა, ბატონ ალის სწამს, რომ ტრილოგიის დანარჩენ ორ ფილმსაც წარუდგენს მაყურებელს, პირველი კი **„რასულ გამზათოვი და საქართველო“** სულ ახლახან საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის ბატონ დავით აბულაძის ინიციატივითა და თანადგომით ვიხილეთ. ფილმის წარდგინებას უამრავი ხალხი დაესწრო. მოსაფერებელი სიტყვები არ დაიშურეს ქალბატონმა მარიკა ლორთქიფანიძემ, ბატონებმა გიგა ბათიაშვილმა, ლევან გახელაძემ, გია მამრიკაშვილმა, ვაჟა აზარაშვილმა, გივი სიხარულიძემ. **„ეს ჩემთვის უდიდესი თანადგომა იყო. ინსულტის შემდეგ, როდესაც დეპრესიაში ვიყავი, ამ წარდგინებით მეორედ დავიბადე, სწორედ ამან მომცა იმედი იმისა, რომ ფილმი დასრულდება“.**

## ეპილოგის მაგიერ

ინსულტი გადაიტანა ბატონმა ალიმ. სწუხს, ძველებურად ჯანი არ მომყვებაო, მაგრამ მაინც შეუპოვრად, იმედიანადაა – ბოლომდე უნდა ტრილოგიის დასრულება; არადა დიდ შემოქმედს არავინ შეუწუხებია, თავად, თავისი სახსრებით მოახერხა ყველაფერი, რათა შთამომავლობისთვის დაეტოვებინა სიყვარული და პატივისცემა იმ ერისა, რომელმაც შვილივით გაზარდა, ჩაიხუტა და როგორც თავად უყვარს თქმა, **„ადგილი დაუმკვიდრა იქ, სადაც უფრო მეტი გენიოსი ცხოვრობს, ვიდრე ცაზე ვარსკვლავებია“.**

**მამუკა ვაშაკიძე**

## გვწერენ




ცხელმა ზაფხულმა ჩაიარა, მაგრამ „ცხელება“, რაც დაკავშირებული იყო დასასვენებელი ადგილის შერჩევასთან, ახლაც თან მდევს, თუმცა ასეც ვიცოდი: ჩემი მშობლიური გორისის, რომლის ულამაზესი კარ-მიდამოდან „მოდინახეს“ ნანგრევებით და იქვე მახლობლად წმინდა გიორგის ეკლესია მოსჩანს, ველარ ჩავდივარ, რადგანაც ოცი წლის წინათ ძლიერი მიწისძვრის შედეგად სახლი იმდენად დაზიანდა, რომ მასში ცხოვრება სახიფათოა. რამდენჯერმე მივმართე საჩხერის რაიონის ხელმძღვანელობას დახმარებისთვის, მაგრამ დღემდე ველარაფერი შეძლეს, ჩვენ კი, დედმამიშვილებს, სადაც მთელი ბავშვობა გაგვიტარებია, მამაპაპეული სახლის შესაკეთებლად ხელი არ მიგვიწვდება, ამიტომაც გადავწყვიტე ისევ საირმეში დავმესვენა.

გასაგებია, იქაური ბუნების მომაჯადოებელი სილამაზე მრავალჯერაა შექებული, მაგრამ დამსვენებლისთვის მარტოოდენ სილამაზე ხომ არ არის მთავარი? მთავარი მაინც მისი სამკურნალო წყლებია. საირმეც ხომ იმიტომ შეერქვა, რომ ალბათ ამ უკვდავების წყალს ირმები ეტანებოდნენ... გზა მართლაც ჩინებულად გაუკეთებიათ. ორი წლის წინათ ვიყავი იქ, აგვისტოს ომსაც იქ შევესწარი... ძლივს ჩამოვაღწიეთ სახლში...

დაუვიწყარია საირმეზე მზის ამოსვლა. ეს კი დილით, მოგვიანებით ხდება... ხომ უნდა გადმოლახოს მთის მწვერვალები, ნაძვნარის კენწეროები... მზე ამოანათებს და გულიც გაგინათდებათ. აქვე მოჩხრიალებს წაბლარის ჩქარი მდინარე. აი ასე შეგიძლიათ დატკბეთ კურორტ საირმის მშვენიერებით. თუ დილით ცა მოქუფრულია ნისლი ფარავს ყველაფერს...

ამ მშვენიერ ბუნებასთან ერთად დამსვენებელი გაიფიქრებს – კარგია პანსიონატი „ბაღდათი“, მაგრამ ადრე, როცა აქ ვისვენებდი, მას „ზეკარი“ ერქვა... საინტერესოა, რატომ შეუცვალეს ეს რომანტიკული სახელი? ზეკარი ხომ ზეცასთან სიახლოვეს მიგვანიშნებს! საირმის სიმაღლე და სილამაზე ღვთიურადაა შერწყმული ამ ულელტეხილზე.

უნდა ითქვას, რომ პანსიონატის მომსახურება ქებას იმსახურებს. დირექტორი, სამედიცინო და მომსახურე პერსონალი გულისხმიერებით გამოირჩევიან. დირექტორ კოტე ენდელაძეს მოადგილეებიც შესაფერისი ჰყავს – ნუგზარ ფურცელაძე და მიხეილ რობაქიძე.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მთავარი ექიმის, ქალბატონ მარინა კიკნაველიძის, მედდების მეგი ღვინეფაძის, ნანა ჭალიძის და ირმა ცერცვაძის მზრუნველობა დამსვენებლებისადმი. მადლობა მინდა გამოვხატო მთავარი დიასახლისის, ქ-ნ როზა ჯაფარიძისადმი. რეგისტრატორი ციცინო ენდელაძე განსაკუთრებული ყურადღებით ხვდება მგზავრობისგან დაღლილ დამსვენებლებს, თუმცაღა, დაღლილ დამსვენებლებს ძალიან გაუხარდებოდათ ამ ოთხსართულიანი შენობის სარდაფში კი არა, ყოველ სართულზე იყოს შხაპი. მომსახურებაში ხომ კვებაც შედის? ამაზე კი მთავარი დიეტოლოგი ნარგიზა ჯიხვაძე ზრუნავს. პანსიონატს ძალიან კარგი მზარეულები და მიმტანები ჰყავს.

საირმეში ახლახან დაუნიშნავთ კურორტის დირექტორად ახალგაზრდა, ენერგიული გოგონა ია განუგრავა, რომლის მოვალეობაც კურორტის შემდგომი კეთილმოწყობაა.

სამწუხაროდ, კურორტის გარემო დანაგვიანებულია, ბაღში ვერ ჩამოჯდები, ძელსკამები შელახულია და არც საკმარისია!

არავინ იფიქროს, რომ ეს წერილი დაგვიანებულია. ვისურვებდი, რომ მომავალ ზაფხულს სასაყვედურო აღარაფერი იყოს, რადგანაც:

საირმე მაინც სულ სხვაა!

**მერი გომართელი-რადიანი,**
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

## ინფორმაცია

### სპეციალური ვაუჩერები ტურისტულ კომპანიებს

**ეროვნული სააგენტოს სტრუქტურაში გაერთიანებული მუზეუმ-ნაკრძალების პოპულარიზაციის მიზნით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ტურისტულ კომპანიებს ვაუჩერის დახმარებით გამარტივებულ გადახდის სისტემას, განსხვავებულ ტარიფებსა და გაუმჯობესებულ მომსახურებას სთავაზობს.**

**ვაუჩერის მფლობელი ტურისტული კომპანიების ხელშეწყობით მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე შესული ხუთი ან მეტი დამთვალიერებელი ჩაითვლება ჯგუფად, გიდის გადასახადი გაუქმდება და, რაც მთავარია, გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.**

**ეროვნული სააგენტოს მუზეუმ-ნაკრძალებში გასულ წლებთან შედარებით ტურისტების რაოდენობა 56%-ით გაიზარდა, სპეციალური ვაუჩერი კი ახალი ინსტრუმენტი იქნება, რომელიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის, ტურისტულ კომპანიებთან ურთიერთობის გამარტივებისა და დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდის გარანტი გახდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსი რეჟისორის ფილმი საქართველოს ომზე

*„რუსული გაკვეთილები" – ეს არის რეჟისორ ანდრეი ნეკრასოვისა და მისი მეუღლის ოლგა კონსკაიას დოკუმენტური ფილმი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ, რომელიც არა მხოლოდ ავლენს რუსეთის მთავრობის და არმიის სიმკაცრესა და სიცრუეს ომის პერიოდში, არამედ გვიჩვენებს, რომ ეს ომი რუსეთის ძალადობრივ-ჰეგემონიური პოლიტიკის მხოლოდ ნაწილია კავკასიის რეგიონში. ნეკრასოვსა და კონსკაიას პარალელები გაჰყავთ იუგოსლავიის ტერიტორიაზე ამ ცოტა ხნის წინანდელ ომსა და 2004 წლის ბესლანის ტრაგედიას შორის, როდესაც რუსეთის არმიის ტანკები ცეცხლს უხსნიდნენ ტერორისტების მიერ ხელში ჩაგდებულ სკოლას, რათა „გაეთავისუფლებინათ" მძევლებად აყვანილი ტყვეები, რის გამოც დაიღუპებოდა ასობით ადამიანი, მათ შორის თითქმის 200 ბავშვი, აგრეთვე 1992-1993 წლის აფხაზეთის ომს შორის, როდესაც საქართველოს ამ პროვინციაში რუსი სამხედროების დახმარებით მოხდა დაუნდობელი ეთნიკური წმენდა, და ასობით ათასი ქართველი ლტოლვილი გახდა თავის ქვეყანაში.*

*უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ანდრეი ნეკრასოვის ფილმები ასახავდნენ პუტინისათვის უსიამოვნო თემებს: ლონდონში უშიშროების ფედერალური სამსახურის ყოფილი აგენტის ალექსანდრ ლიტვინენკოს მკვლელობას ჩეჩნეთის ომს. ამ ფილმებს აჩვენებდნენ გალერეიან მსოფლიო კინოფესტივალებზე, თავის მხრივ „რუსული გაკვეთილების" პრემიერა გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ კინოფესტივალზე. ფილმი ნომინირებული იყო უდიდესი ევროპული აუდიო – ვიზუალური მედიის პრიზზე. სექტემბრის დასაწყისში ის აჩვენეს რიგაში ბალტიის ქვეყნების დოკუმენტური ფილმების ფორუმზე. სეანსის შემდეგ ნეკრასოვმა ჩვენ ჟურნალს მისცა ინტერვიუ.*

**– როდესაც „რუსულ გაკვეთილებს" იღებდით, თქვენ ომის დროს ფრონტის საქართველოს მხარეზე იყავით, თქვენი მეუღლე ოლგა კი – რუსეთის მხარეზე. ნანახიდან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რამ მოახდინა თქვენზე?**

– ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ, მაგრამ მე შოკში ჩამაგდო მათმა ცინიზმმა, შეიძლება თქვა, რომ ქართველები აგრესორები არიან, ოსები კი უდანაშაულო მსხვერპლნი. ეს არ არის სიმართლე, მაგრამ მაინც... მაგრამ მე შოკში ჩამაგდო იმან, რომ ხალხს შეუძლია მთლიანად მიიღოს რუსეთის თვალსაზრისი. მათ შეუძლიათ ერთმანეთისგან გაარჩიონ ქალაქი ცხინვალი სამხრეთ ოსეთში ქალაქ გორისგან, ვინაიდან ეს ჟურნალისტები იქ მუშაობენ და გამოცდილი პროფესიონალები არიან, მაგრამ ბევრი მათგანი შეგნებულად, მასობრივად, გადაცემიდან გადაცემაში უჩვენებდნენ რუსეთის თვითმფრინავებს, და ამბობდნენ, რომ ეს საქართველოს თვითმფრინავებია, უჩვენებდნენ საქართველოს მშვიდობიან მცხოვრებლებს, რომლებიც სისხლისგან იცლებოდნენ, იხოცებოდნენ, რომელთა უკანაც გორი იყო, და საუბრობდნენ, რომ ესენი არიან ოსები ცხინვალშიო.

ესენი ჩემი კოლეგები არიან, ჩემი თაობის ხალხი, ეს არის სწორედ შოკის მომგვრელი, ესენი არიან ჩემი თანამემამულეები, თითქოსდა, ჩემი ქვეყნის ელიტა, რომელსაც კარგად უხდიან. თუ ჩვენი საზოგადოება ასეთია – მაშ მე რაღა მინდა სინამდვილეში? ზოგჯერ მე ასეთ მდგომარეობაშიც კი ვიყავი... როდესაც მე ვამბობ: შეხედეთ ეს სიცრუეა, ისინი მე დამცინიან. ეს თითქოს ბოროტებასა და სიკეთის მიღმა ხდებოდა, სხვა კრიტერიუმი არ არსებობდა. ისინი ამბობენ: ასეთია ჩვენი სამუშაო. მაშინ მე გავიგე, რომ არასწორ პროფესიაში ვარ, არასწორ ბიზნესში, ვინაიდან რუსეთის ტელევიზიების პროგრამები ქმნიდნენ ილუზიას, სიცრუეს და ამას აკეთებდნენ იმდენად სრულყოფილად, რამდენადაც შეეძლოთ. ამისთვის უხდიან მათ. ეს არის მათი პროფესიონალიზმის საზომი. ეს ნამდვილი გაწბილება იყო.

**– თქვენ ფილმის შექმნა დაიწყეთ ჯერ კიდევ ომამდე: გრძნობდით რაიმეს, რომ იწყებოდა?**

– დიახ. მიმდინარეობდა რუსეთის არმიის მანევრები. ჩემი მეგობრები სოჭში იყვნენ შვებულებაში და ხედავდნენ ათეულობით და ასეულობით სამხედრო-სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც საქართველოს მიმართულებით მოძრაობდნენ. სამხედრო ძალების კონცენტრირება ხდებოდა საზღვარზე ეგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთისა. ჩემმა მეგობრებმა, რუსული ოპოზიციური ძალების აქტივისტებმა მიწერეს წერილი მთავრობას. ისეთი პატივსაცემი ხალხი, როგორებიც სამართალდამცველები სერგეი კოვალიოვი, ლუდმილა ალექსეევა და სხვები არიან. მათ არანაირი განსაკუთრებული ინფორმაცია არ ჰქონიათ, მაგრამ ისინი წერდნენ, რომ ეს იქნებოდა კატასტროფა, რომ არ შეიძლებოდა ამ ომის დაწყება. ესე იგი იყო ბევრი ნიშანი იმისა, რომ რაღაც მოხდებოდა. ხსენებული წერილი დაიწერა ივლისის შუა რიცხვებში, რაღაც უკვე იგრძნობოდა ჰაერში.

და კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ ისტორიაში: პუტინის პიროვნული ზიზღი საქართველოს პრეზიდენტისადმი მიხეილ სააკაშვილისადმი. მე ამის შესახებ ვიცი ჩემი წინა ფილმიდან. ალექსანდრ ლიტვინენკო ერთგვარად მისტიკურად მოკლეს ემოციური მიზეზების გამო. თუმცა მან მაშინ ძალიან ბევრი რამ იცოდა, მაგრამ უკანასკნელი წვეთი გახდა ის, რომ მან პირადად ახსენა პუტინი. ეს არის პიროვნული ზიზღი, ეს არის რუსეთის მმართველთა და განსაკუთრებით პუტინის კაპრიზი... მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი – ეს არის პეტერბურგელი ხულიგანი, მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის. ეს მას, რასაკვირველია არ ესიამოვნება, ამისთვის შეიძლება დასაჯო კიდეც კაცი. მე მინდოდა ეს მეთქვა რაც შეიძლება ზრდილობიანად, მაგრამ, არსებითად, პუტინი ეს არის ჭაბუკი მაჩოს რეაქციებით ყველაზე ცუდ გამოვლინებებში. რაღაც მიზეზის გამო პუტინს ეზიზღება სააკაშვილი და მისი თავიდან მოშორება სურს. თუ ბატონს რაღაცა სურს, სახელმწიფო მას ემორჩილება.

**– ფილმი გვიამბობს საქართველოს შესახებ, მასში არის მეტად ძლიერი ნაწილი ეთნიკური წმენდის შესახებ აფხაზეთში. და თქვენ პარალელს ავლებთ ბესლანის მოვლენებთან. ყოველივე ამაში ხომ არ იმალება რუსეთის სურვილი – აკონტროლებდეს კავკასიის რეგიონს?**

– სტრატეგიულად კავკასიის რეგიონი მეტად მნიშვნელოვანია. ეს ობიექტურობაა. რუსეთს ყოველთვის მიაჩნდა, რომ კავკასია – ეს არის კარი აზიაში. ნაწილობრივ ეს არის ლეგიტიმური შიში ან საფრთხე შესაძლო აგრესიის შესახებ ქვეყნებისა, ცივილიზაციებისა, რომლებიც რუსეთს უცხოდ მიაჩნია. დასავლეთშიც არ არის არაჩვეულებრივი – უმზერდნენ ასე მუსლიმანურ სამყაროს. რუსებს ეშინიათ მუსლიმანებისა, აზიისა, არაბებისა, სპარსელებისა, თურქებისა, რუსეთი ყოველთვის ებრძოდა თურქეთსა და სპარსეთს.

**– ფილმი კრიტიკულად აფასებს რუსეთის მთავრობას, არმიას, რუსების მოქმედებას საქართველოში. რა რეაგირება მოახდინეს ამაზე მაყურებლებმა რუსეთში?**

– ფილმი აჩვენეს ოთხჯერ. არავის არ სურს მისი დემონსტრირება, თუ მე თვითონ არ ვარ იქ.




ამიტომ მე უნდა დამქონდეს იგი ციმბირშიც კი, ტომსკში – ოცდაათგრადუსიან ყინვაში, მაგრამ მე მაღელვებდა ის, თუ როგორ რეაქციას ახდენდა მაყურებელი. განსაკუთრებით ნიჟნი ნოვგოროდში, სადაც ბევრი ახალგაზრდა მოვიდა, თითქმის შეავსეს მთელი კინოდარბაზი. მე გამაოცა, რომ ხალხი მადლობას მეუბნებოდა იმის გამო, რომ სიმართლეს ვლაპარაკობდი, მადლობას მიხდიდა, რომ ვეხმარებოდი მათ, გარკვეულიყვნენ ჩვენს ისტორიაში.

მე მიმაჩნია, რომ ეს რაღაც პოზიტიურის თესლია. იმის ანალოგიური, რისი გაკეთებაც გერმანელებს მოუწიათ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საჭირო იყო გარკვეულიყნენ თავიანთ ისტორიაში, ყოფილიყვნენ პატიოსნები მასთან დამოკიდებულებაში. ჩვენ ცუდათ გავართვით ამას თავი. ჩემი აზრით, რუსეთში ბოროტ მოვლენათა საფუძველი არის ის, რომ ჩვენ უბრალოდ არ შეგვიძლია ვიყოთ თვითკრიტიკული.

**– თქვენ იცით, რომ არის ხალხი, რომლებიც თუნდაც ისინი კეთილგანწყობილნი იყვნენ საქართველოსთან დაკავშირებით, მაინც ამბობენ, რომ ქართველებმა დაუშვეს შეცდომები. თქვენ ამის შესახებ ფილმში არ საუბრობთ.**

– ეს სიმართლეა. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ფილმი შეცდომებზეა. ეს არის ფილმი დანაშაულებზე და არა შეცდომებზე. ეს არის პიროვნული ფილმი ჩემს მშფოთვარე განგაშზე საკუთარი ხალხის შესახებ. ამიტომ ჩემი პასუხი შეკითხვაზე – შეცდა თუ არა სააკაშვილი – არის „დიახ". მაგრამ მას, გარკვეულწილად, არ მიუცია თავისი ხალხისთვის ბრძანება, როგორც რუსები ამტკიცებდნენ, ხოცონ ბავშვები და ქალები. ეს სიცრუეა. მაგრამ რუსი სამხედროები ამას კვლავ იმეორებენ.

**– თქვენ ფილმში საუბრობთ ძალადობის ნამდვილად გამაოგნებელ შემთხვევებზე. თუ რუსმა გამანადგურებელმა აფხაზეთის ომის დროს როგორ ჩამოაგდო თვითმფრინავი ლტოლვილებით. თუ როგორ ესროდნენ ტანკები სკოლას ბესლანში, თუ რუსეთის თვითმფრინავები როგორ ბომბავდნენ ცხინვალს, საიდან ასეთი სიმკაცრე?**

– ჩემი აზრით, ომი საერთოდ მკაცრია. გამაოგნებელია, რომ რუსებმა ამ სიმკაცრის შესახებ ძირითადად არაფერი იციან, ხოლო თუ იციან, ფიქრობენ, რომ ეს თითქოს კარგია. რა პასუხს მაძლევენ ზომიერი ნაციონალისტები? არა რადიკალები, რომლებიც უბრალოდ გამყიდველსა და მტერს მიწოდებენ, არამედ ზომიერები მეუბნებიან: რასაკვირველია, ეს სამხრეთელები ხოცავდნენ ერთმანეთს, შეიძლება ჩვენი არმია ყველაფერს არ აკეთებდა, რომ მათთვის კონტროლი გაეწია. მაგრამ ისინი ხომ ტყის მხეცები არ არიან. ესენი არიან „შავები", მათ არ მიესადაგება ნორმალური კრიტერიუმები. ეს არის დამოკიდებულება – „მერე რა მოხდა?" – გამაოგნებელია.

ეს ყველაფერი სიმკაცრეა და მე ეს მესმის. არ შემიძლია ვთქვა, რომ ასეთია ადამიანის ბუნება, მაგრამ... რომელიღაც ფილოსოფოსმა, მგონი ვიტგენშტეინმა თქვა: თუ რაიმეს წარმოდგენა შეგვიძლია, ეს შეიძლება მოხდეს. ეს ერთგვარ ფილოსოფიურ დონეზე. მაგრამ მე ფილოსოფოსი არა ვარ. მე უნდა გავერკვე საკითხში: როგორი რეაგირება უნდა გვქონდეს ამ სიმკაცრეზე? უწინარეს ყოვლისა, უნდა ვილაპარაკოთ სიმართლე. ზოგიერთი რუსი ამაზე უარყოფითად რეაგირებდა. მრავალ დონეზე – საინფორმაციო, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ დონეზეც – ეს, უბრალოდ, არ არსებობს. მათ არ ესმით, რომ ლანძღვა და შეურაცხყოფა (ამ შემთხვევაში ჩემი და ჩემი კოლეგების შეურაცხყოფაძ ეს მტკივნეული რეაქციაა. ერთადერთი ჩემთვის ცნობილი ხერხი ამის სამკურნალოდ – ეს არის სიმართლის თქმა. ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს, რომ შეიძლება იყოს რაიმე პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ შეიძლება მოხდეს ევოლუცია, ვინმე სხვა პუტინის ნაცვლად მოვიდეს ხელისუფლებაში. მე ეს ასე არ მგონია. მე მიმაჩნია, რომ აუცილებელია შოკისმომგვრელი თერაპიის მკურნალობა სიმართლის თქმით.

**– ჩვენ ვსაუბრობთ რეაქციის შესახებ რუსეთში, მაგრამ დასავლეთშიც ხშირად ის უკეთესი არ ყოფილა. თქვენ ფილმში აჩვენეთ გერმანიის ტელეარხის დოკუმენტური ფილმის ნაწყვეტები. იქ ნაჩვენებია ერთმნიშვნელოვნად დამაბნეველი ინფორმაცია საქართველოს ომის შესახებ, იგივე მოსჩანს ბი ბი სის ერთ-ერთ გადაცემაში. როგორ ავხსნათ ეს? გაასწორეს მათ ეს შეცდომები?**

– არც ერთი შეცდომა მათ არ გაუსწორებიათ. რეალობა ისეთია, რომ მე ვხვდები უზარმაზარ მოვლენას, რომელსაც ისტებლიშმენტი (ელიტაძ ეწოდება. მიმაჩნია, აგრეთვე, რომ მე შედარებით ბედნიერი კაცი ვარ, ვინაიდან ვმოგზაურობ მსოფლიოში, ვაკეთებ ჩემ საქმეს და საკმაოდ ესმით ჩემიც. მაგრამ ეს არ კმარა. საუბედუროდ, არის აზროვნების სახეობა, რომელიც დემოკრატიულ დასავლეთს არ განასხვავებს არადემოკრატიული რუსეთისგან. ეს სხვაობა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, ვინაიდან – მაშინ რისთვისღა იბრძოდა საუკუნეების განმავლობაში ხალხი და ხოცავდა ერთმანეთს თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის? ჩვენ ამას ვასწავლით ჩვენს ბავშვებს, მაგრამ ვიქცევით ისე, თითქოს ეს ჩვენთვის სულ ერთი იყოს.

პაულს რაუდსეპსი
ir
ლატვია

## დედამიწის ზურგზე



**გერმანიაში გაერთიანების 20 წლისთავი აღნიშნეს – მოსკოვმა შეახსენა თავისი წვლილის შესახებ**

სსრ კავშირმა შეიტანა გადამწყვეტი წვლილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაერთიანებაში, განაცხადა თავის მილოცვით ცნობაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა. ამ დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ: ორი ათეული წლის შემდეგაც კი სხვაობა დასავლელ და აღმოსავლელ თანამოძმეებს შორის შენარჩუნებულია.

**ბერლუსკონიმ აღაშფოთა ვატიკანი უხერხული ანეკდოტის გამო ებრაელებზე**



გასულ კვირას იტალიის პრემიერმინისტრი თავის დაბადების დღეს ხუმრობდა ძუნწ ებრაელებზე და ჰოლოკოსტის შესახებ. კათოლიკური ეკლესიის ოფიციალურმა გაზეთებმა ეს ნაციზმის მილიონობით მსხვერპლის ხსოვნის შეურაცხყოფად მიიჩნიეს.

**აშშ: ტერორისტები ემზადებიან დაარტყან კოლიზეუმს და ეიფელის კოშკს**



ვაშინგტონი არ ურჩევს მოქალაქეებს დაათვალიერონ ეს ტურისტული ობიექტები. გამოკვლევების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, „ალყაიდა", უსამა ბინ ლადენის ჩათვლით, ემზადება დარტყმა მიაყენოს გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის ამ და სხვა ტურისტულ ობიექტებს. ყველა ტერორისტი აზიური წარმომავლობის ევროპული ქვეყნების მოქალაქეები არიან.

**შვედეთში იხსნება ნობელის 109-ე კვირა**




ყოველკვირეული ღონისძიება დაიწყება ფიზიკისა და მედიცინის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატების სახელების გამომჟღავნებით. ტრადიციულად, ნობელის კომიტეტები უკანასკნელ მომენტამდე არაფერს იტყობინებიან არც პრეტენდენტების შესახებ, არც მათ შესახებ, თუ ვინ დაასახელა ისინი.

**სირიას სურს რუსეთისგან შეისყიდოს ტუ-204 აშშ-ს ეკონომიკური სანქციების გამო**

თეთრი სახლი უარს ამბობს თვითმფრინავების ემბარგოს მოხსნაზე სირიაში ექსპორტისთვის. დამასკი 6 ხომალდის შესყიდვის ვარიანტს განიხილავს, როგორც „მეტად სავარაუდოს". პარიზი მზად არის მიაწოდოს სირიას „აირბუსები", მაგრამ არ შეუძლია – ზოგიერთი კომპონენტი ნაწარმოებია ამერიკის შეერთებულ შტატებში და მათზე ემბარგო ვრცელდება.

## ჩვენი ბიბლიოთეკა

ახლა ისინი მთვარის შუქისგან ავერცხლისფერებულ ზღვად ქცეულ ყანაში მიდიოდნენ. ბრიდა ანდეზე მოძრაობდა, სულ მცირე წარმოდგენაც არა ჰქონდა, რა მომდევნო ნაბიჯს გადადგამდა. შინაგანი ხმა ჯიუტად ჩასჩიჩინებდა, რომ მხოლოდ წინ უნდა ევლო, სიშორისა არ უნდა შინებოდა, რომ ის იმავე ძალასა ფლობდა, რა ძალასაც იმისი შორეული წინაპარნი ფლობდნენ, რომელნიც უცხადოდ ახლაც აქ იყვნენ, თვალყურს ადევნებდნენ იმის თითოეულ ნაბიჯს და დრო-ჟამის მთელი სიბრძნით იცავდნენ თავიანთ ყანა-ყანა მავალ შთამომავალს.

შუა ყანაში შეჩერდნენ. ირგვლივ მთები აღმართულიყვნენ, რომლის ერთ-ერთი კლდიანი ქედიდან აგრერიგად კარგი იყო ჩამავალი მზის ყურება, იქ იყო ხის წვერზე ბუდესავით შედგმული ქოხიც, და ის ადგილიც, სადაც ერთხელ ღამით ჯერ კიდევ კარგუნახავმა მავანმა ყმაწვილქალმა წყვდიადის საშინელება შეიცნო.

„სულიან-ხორციანად ვენდობი, – გაიფიქრა ბრიდამ. – სულიან-ხორციანად და ვიცი, რომ დამიცავენ“.

– აი აქ, – წარმოთქვა მან.

მერმე ძირიდან კაუჭა რამ ჯოხი აიღო და მოძღვრისგან ნასწავლი წმინდა სახელების დუდუნით კარგა გვარიანი სივრცე შემოიხაზა გარშემო. ხელთ არც სარიტუალო სატევარი ჰქონია, არც სხვა რამ წმინდა საგანი, სამაგიეროდ გვერდით ჰყავდნენ წინაპარ-წინამორბედნი, რომელთაც დროულად ჩასჩურჩულეს, ოდესმე ინკვიზიციის კოცონისგან თავის დასაღწევად რაგინდარა საციქველს ვაკურთხებდით ხოლმეო.

– ქვეყნიერებაზე ყოველივე წმინდაა, – თქვა მან. – ეს ჯოხიც.

– მართალი ხარ, – შეეხმიანა მოგვი. – ამქვეყნად ყოველივე წმინდაა. ის კი არა, სულ უმნიშვნელო, ქარსაოტი ქვიშის მარცვალიც შეიძლება რომ უხილავში გადებული ხიდი გახდეს.

– ამწუთას უხილავში გადებული ხიდი ჩემი სხვა ნაწილია, – მიუგო ბრიდამ.

მოგვს თვალებში ცრემლი ჩაუდგა. ღმერთმა სამართალი ქმნა.

ისინი წრეში შევიდნენ, და ბრიდამ ის რიტუალურად შეკრა. ადამპაპის დროიდან მოგვნი და ჯადოქარნი ამ საშუალებას ხიფათისგან თავის დასაცავად იყენებენ.

– შენ დიდსულოვნად დამანახვე შენი სამყარო. და რათა იცოდე, რომ მეც მაგ სამყაროს ვეკუთვნი, აწ ერთ რიტუალურ სახიობას შევასრულებ.

ბრიდამ ხელები მთვარისკენ გაიწოდა და ბუნების გრძნეულ ძალებს უხმო. მან არაერთხელ უყურა თავის მოძღვარს, როგორ იქმოდა ის ამას, როცა ისინი ტყეში ერთად იყვნენ ხოლმე, მაგრამ ახლა ამ სახიობას თავად ასხამდა ხორცს და ოდნავადაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ შეცდომა არ მოუვიდოდა. ბუნების ძალნი ეძრახებოდნენ, არცრა საჭიროება არ არის რისამე სწავლისაო, საჭიროა ოდენ მოგონება გარდასული მრავალი დროებისა და ჯადოქარ-კუდიანთაგან გამოვლილი მრავალი ცხოვრებისაო. ყმაწვილქალმა უხვი მოსავლის ლოცვა აღავლინა და ისიც შესთხოვა ზეცას, რომ იქაურობისთვის უკუნითი უკუნისამდე ნაყოფიერება არ მოეკლო. ძველ დროში, სანამ უღელტოლი მიწასა ხნავდა, აგრე იდგა ხოლმე და ილოცვიდა ქურუმი ქალი, რომელიც ნიადაგის ცოდნასა და თესლის ფერისცვალებას ერთმანეთზე აქორწინებდა.

მოგვი არ ერეოდა, სანამ ყმაწვილქალი თავის რიტუალურ სახიობას ჯერ მხოლოდ პირს უწყობდა. მან იცოდა, რომ განსაზღვრულ დროს ჩარევა მოუწევდა, ოღონდ არა უფრო ადრე, ვიდრე ბრიდასგან წამოწყებული მოქმედება დროში არ ჩამაგრდებოდა და სივრცეში არ აღიბეჭდებოდა. მართალია, მოგვის მოძღვარს ამჟამად ასტრალში დაედო ბინა და თავის მორიგ გარდასახვა-შეგვამებას ელოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამწუთას ისიც აქ ტრიალებდა, ამ პურის ყანაში, როგორაც სულ ახლახან – ბარში, მოგვის ბოლო ცდუნების ჟამს, და უთუოდ კმაყოფილი იყო თავისი მოწაფით, რომლისთვისაც მწარედ ესწავლებინა ჭკუა ცხოვრებაში არაერთხელ გადატანილ ტანჯვა-წვალებას. მოგვი ჩუმად ისმენდა ყმაწვილქალის შელოცვებს, მაგრამ მან შელოცვა შეწყვიტა და ოდნავ დაბნეულმა თქვა:

– არ ვიცი, რატომ...

– მე განვაგრძობ, – თქვა მოგვმა და ჩრდილოეთისკენ პირმიბრუნებულმა იმ ფრინველთ მიბაძა გალობაში, ამჟამად მარტო ლეგენდებსა და ანდრეზებში რომ არსებობენ. ეს იყო ის ბოლო რგოლი, რომელიც მთლიან ჯაჭვს აკლდა – უიკა კარგი მოძღვარი იყო და ბრიდას ყველაფერი ასწავლა, ამის გარდა.

წმინდა პელიკანისა და ფენიქსის გალობანი რომ მიწყდა, შემოხაზული სივრცე იდუმალი რამ ციალით აივსო, რომელი ციალიც არცრას თავის გარშემო არ აშუქებდა, მაგრამ ამასთანავე თავის შუქობას არა წყვეტდა. მოგვმა შეხედა და ყმაწვილქალის ასო-ტანის მარადიულ ბრწყინვალებაში თავისი სხვა ნაწილი დალანდა: აურა ხალასი ოქროსფერი იყო, და შუქს შუბლი და ჭიპი ასხივებდნენ. მან იცოდა, რომ ყმაწვილქალის თვალთაც იგივე წარმოუდგათ – ისიც ხედავდა მანათობელ წერტილს იმის მარცხენა მხარზე. იქნებ ცოტა მკრთალსა და მოლივლივეს, რაც ბარში დალეული ღვინის ბრალი იყო.

– ჩემი სხვა ნაწილი, – ჩუმად ჩაილაპარაკა ბრიდამ მანათობელი წერტილის შემყურემ.

– მე მთვარის ტრადიციისდა კვალად აგყვები, – თქვა მოგვმა.

და პურის ყანა იმათ ირგვლივ ყომრალ, თითქოსდა ფერფლით შეფიფქულ უდაბნოდ გადაიქცა, რომლის შუაგულშიც ტაძარი რამ აღიმართა. და იმის დევერხინა კარიბჭესთან თეთრსამოსლიანი დიაცნი ცეკვავდნენ. ბრიდა მოგვთან ერთად სილის ბორცვზე იდგა და არ იცოდა, ხედავდნენ თუ არა ის ქალები ამათ.

რას უნდა ნიშნავდეს ეს მოლანდებაო, კითხვა დააპირა ბრიდამ, მაგრამ ხმამ უმტყუნა. მოგვმა შიში დაინახა იმის თვალებში და უკანვე შეაბრუნა – პურის ყანაში გაჩენილი შუქის წრის შუაგულში.

– ეს რა იყო, – ძლივს წარმოთქვა მან.

– ეგ შენთვის მორთმეული ჩემი საჩუქარი იყო. მთვარის ტრადიციის თორმეტი საიდუმლო ტაძრიდან ერთ-ერთი, რომელსაც გიძღვნი სიყვარულის ნიშნად და კიდევ




მადლიერების ნიშნად იმის გამო, რომ შენ არსებობ ამქვეყნად. მე კი ბოლოსა და ბოლოს ის მოვილოდინე, რასაც ესოდენ დიდხანს ველოდი.

– წამიყვანე, – თქვა ბრიდამ. – მასწავლე შენს სამყაროში სიარული.

და ამგზავრდნენ დროში, სივრცეში, ტრადიციითა კვალდაკვალ. ბრიდა ხედავდა აბიბინებულ მდელო-მინდვრიანთ, მარტო წიგნების სურათებისდა მიხედვით ნაცნობ მხეც-ნადირთ, იდუმალ ციხე-კოშკთ და თითქოსდა სინათლის ღრუბლებში აცურებულ ქალაქთ. ცა ნაირფერად ბრიალებდა, მოგვი კი პურის ყანის თავზე თავისი სხვა ნაწილისთვის ტრადიციათა წმინდა სიმბოლო-ნიშანთ გამოხატავდა. ერთი გზობა ბრიდას მოეჩვენა, რომ ისინი ან სამხრეთ პოლუსზე იყვნენ, ან ჩრდილოეთ პოლუსზე, რადგან გარშემო სულ ერთიანად ყინულს შეეჯავშნა არემარე. მაგრამ ის მალევე მიხვდა, რომ ეს სხვა პლანეტა იყო, რომლის ბევრად ტანდაბალ ბინადართ სულ სხვანაირი თვალები და უფრო გრძელი თითები ჰქონდათ, და ისინი რომელიღაც უზარმაზარ კოსმოსურ ხომალდზე საქმიანობდნენ. მაგრამ ყოველთვის, როგორც კი ბრიდა რაღაცის თქმას ან რაღაცის კითხვას დააპირებდა, სახეები ქრებოდნენ და სურათებს უმალ სხვა სურათები ცვლიდნენ. ის თავისი ქალური ალღოთი მიხვდა, რომ ეს ყოველივე მოგვის ამბავი იყო: რაც რამ მრავალი წლის მანძილზე ესწავლა და რასაც მთელი ამ დროის განმავლობაში საგულდაგულოდ ცხრაკლიტულში ინახავდა, ახლა ცდილობდა, რომ ყველაფერი იმის თვალის გასახარად გამოეტანა. თუმცა შეიძლებოდა რომ სულაც არ ემცდელა და უანგაროდ და უშიშრად მინდობოდა იმას, რადგან ის თავის სხვა ნაწილი იყო. და სამოთხეში ერთად ივლიდნენ ორივენი სეფა-სეფა, სადაც მართალთა სულნი მკვიდრობდნენ, ხოლო ვინც ჯერეთ ეძებდა მადლსა და წყალობას, დროდადრო თუ გამოჩნდებოდა ხოლმე, რათა იმედს ზიარებოდა.

რომ გეკითხათ, რა დრო გავიდა მანამდე, სანამდე მავან მანათობელ არსებასთან ერთად შენგანვე შემოხატულ წრეში შებრუნდებოდიო, ბრიდა ვერ გეტყოდათ. შეყვარებული ყოფილა და იცოდა, ეს რაც არის, მაგრამ აქამდე სიყვარული ნიადაგ შიშთან იყო შეუღლებული. და ეს შიში, რაოდენ უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო, ნახევრად გამჭვირვალე ფარდასა ჰგავდა, რომლის წიაღ თითქმის ყველაფერი ჩანდა, მაგრამ ერთგვარად ახშობდა ფერთაც და საღებავთაც. ოღონდ ამწუთას, იპოვა რა თავისი სხვა ნაწილი, ბრიდა მიხვდა, რომ სიყვარული განუყრელად დაკავშირებულია ფერებთან – და ეჩვენებოდა, რომ ცაში ერთმანეთზე ასხმული ათასი ცისარტყელა ბდღვრიალებდა.

„რამდენი რამ დავკარგე იმის გამო, რომ მეშინოდა, რამე არ დავკარგო-მეთქი“, – ფიქრობდა ცისარტყელების შემყურე ყმაწვილქალი, რომელიც მანათობელი არსების ქვეშ გაშოტილიყო – მოგვს მარცხენა მხარზე წერტილი უკაშკაშებდა, და შუქს იმისი შუბლი და ჭიპი ასხივებდნენ.

– შენთან დალაპარაკება მინდოდა და ვერ შევძელი, – თქვა ბრიდამ.

– იმიტომ რომ ზედმეტი დალიე, – უთხრა მოგვმა.

ბრიდასთვის კი ეს ყოველივე – ბარიც და ღვინოც – უკვე შორ, დამანძილებულ მოგონებად ქცეულიყო, რომელშიც წყენის ბუნდოვანი შეგრძნება ჭვიოდა იმის გამო, რომ რაღაცას თავის დროზე ალღო ვერ აართვა და დაეუარა.

– მადლობელი ვარ ზმანებისთვის.

– ეგ ზმანება არ ყოფილა: შენ მართლაც განიმსჭვალე დედამიწისა და კიდევ ერთი შორეული პლანეტის სიბრძნით.

ბრიდას ამაზე აღარც ლაპარაკი უნდოდა და აღარც ლექციების მოსმენა. მხოლოდ ის ენიაზებოდა, რაც უკვე განიცადა.

– მეც ვაშუქებ?

– ჰო. ისევე, როგორც მე. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა. ამანიცა და ჯავარიც ერთნაირი გვაქვს.

ფერი აწ ოქროვანი იყო, ხოლო იმ შუქს, შუბლი და ჭიპი რომ ასხივებდნენ, კაშკაშა სიცისფრე შეჰპარვოდა.

– ისეთი გრძნობა მაქვს, ვითომ ვიღუპებოდით და ახლა გადავრჩით, – თქვა ბრიდამ.

– დავიღალე. წასვლის დროა. არც მე დამილევია ცოტა.

ბრიდამ იცოდა, რომ სადღაც იყო ბარიც, პურის ყანაც და ავტობუსის გაჩერებაც. მაგრამ იქ მიბრუნება არ უნდოდა. ერთადერთი, რაც ესურვილებოდა, აქ სამუდამოდ დარჩენა იყო. და თითქმის ცხრა მთას იქიდან ხმა რამ ჩაესმოდა: ხმა ჯადო სიტყვებს წარმოთქვამდა – და შუქი ყმაწვილქალის ირგვლივ ნელ-ნელა იშრიტებოდა და ქრებოდა. და მალე სულ გაქრა. ცაში კვლავ აკაშკაშდა ვეებერთელა მთვარე და თავით ბოლომდე გადააღადღადა პურის ყანა. ისინი ყელიყელგადაჭდობილნი და მკერდიმკერდშეწებებულნი იწვნენ გაშიშვლებულნი. და არც სიცივესა გრძნობდნენ, არც სიშიშვლისა სცხვენოდათ.

მოგვმა სთხოვა ბრიდას, რახან დაიწყე, ბარემ დაასრულე ეგ რიტუალიო. ბრიდამ წარმოთქვა, რა სიტყვებიც იცოდა, და მოგვი ეშველებოდა. შელოცვები რომ ითქვა, მოგვმა წრე გახსნა. მერმე ჩაიცვეს და მიწაზე დასხდნენ.

– წავიდეთ აქედან... – მცირე დუმილის შემდეგ თქვა ბრიდამ.

მოგვი აზეზდა, და ისიც აჰყვა. მან აღარ იცოდა, რა ეთქვა – მადლს დაეტევებინა იგი. მოგვიც აგრეთვე. სულ ახლახან ერთმანეთს თავ-თავიანთი სიყვარული გაუმჟღავნეს, აწ კი, როგორც ყველაზე ჩვეულებრივ წყვილს, უკვე საცადელგამოვლილს, ერთურთისთვის თვალებში ვერ შეეხედა.

დუმილი მოგვმა დაარღვია:

– ქალაქში უნდა დაბრუნდე. მე ვიცი, საიდანაც უნდა გამოვიძახო ტაქსი.

ბრიდას ვერ გაერკვია, ამ სიტყვებმა საქციელი წაუხდინეს თუ შვება მოჰგვარეს. წეღანდელ ნეტარებას გულის რევა და თავის ტკივილი მოჰყვა. არა, ამ საღამოს ნამდვილად ვერ ივარგებს.

– კარგი, – მიუგო მან მოგვს.

მიმართულება კვლავ შეცვალეს და დაბაში დაბრუნდნენ. მოგვმა ქუჩის ტაქსოფონის ჯიხურიდან შეუკვეთა ტაქსი. და მანქანის ლოდინში გზის პირას ჩაიმუხლეს.

– მადლობის თქმა მინდა შენთვის, – უთხრა ბრიდამ. მოგვს კი ხმა არ ამოუღია.

– არ ვიცი, გაზაფხულის ბუნიაობის დღე მარტო კუდიანებისა და ჯადოქრების დღესასწაულია თუ არა... მაგრამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება.

– დღესასწაული დღესასწაულია.

– მაშ, თუ ეგრეა, შენს დაპატიჟებას ვისურვებდი.

**ქართულად გადმოაენა**
**ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.**

**(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)**

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171-172, 176-177, 180-181ბ 184.

## ჭადრაკი

# ჩემპიონებმა ტახტი დათმეს

**დრეზდენში 2008 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური ქართველმა ქალებმა და სომეხმა ვაჟებმა დაიპყრეს.** ორი წლის შემდეგ ორივე გუნდმა ტახტი დათმო. ხანტი-მანსიისკ-



ში ქალთა შორის შესანიშნავად ითამაშა რუსეთის პირველმა ნაკრებმა (ტატიანა კოსინცევა, ნადეჟდა კორინცევა, ალექსანდრა კოსტენიუკი, ალისა გალიამოვა, ვალენტინა გუნინა), რომელმაც 11-ვე შეხვედრა მოიგო და 22 ქულით დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. ჩინელებმა უკრაინელებს 3:1 აჯობეს და 18 ქულით მეორეზე გავიდნენ. საქართველოს ნაკრები (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, სოფიო ხუხაშვილი, ბელა ხოტენაშვილი) ბოლო ტურში პოლონეთის გუნდს დაუზავდა და 16 ქულით „ბრინჯაოს“ დასჯერდა. საგულისხმოა, რომ დაფების მიხედვით სალომე მელიამ (III დაფა) ვერცხლი, ბელა ხოტენაშვილმა (სათადარიგო) კი ბრინჯაო დაიმსახურა.

ვაჟებში ოქროს მედლები უკრაინელებმა (ვასილი ივანჩუკი, რუსლან პონომარიოვი, პაველ ელიანოვი, ზახარ ეფიმენკო, ალექსანდრე მოისეენკო) მოიპოვეს. 22 შესაძლებლიდან მათ 19 ქულას მოუყარეს თავი. გამარჯვებულებს ქულით ჩამორჩა რუსეთის პირველი ნაკრები. 17-17 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები ისრაელმა (ბრინჯაო) და უნგრეთმა გაინაწილეს. სამწუხაროდ, დასკვნით ტურებში ზედიზედ სამი წაგების შემდეგ საქართველოს ნაკრები (ბაადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, თამაზ გელაშვილი, ლევან ფანცულაია) 13 ქულით 30-ე ადგილზე გავიდა.

**ლაშა დიდია**

## ჩოგბურთი

# „ნავთობტერმინალი“ ჩახნაშვილს ხვდა

**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა ბათუმის ნავთობტერმინალის ღია პირველობა (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარი) პროფესიონალ ქალთა შორის. შეჯიბრებაში 18 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. როგორც შარშან, წლეულსაც ფინალში ქართველი სპორტსმენები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.** 2009 წლის მთავარი პრიზი სოფიკო შაფათავას დამარცხებით ოქსანა კალაშნიკოვამ მოიპოვა. წლეულს ორივე ჩოგბურთელი გადამწყვეტ პაექრობამდე დაემშვიდობა ტურნირს – პირველ ნომრად განთესილმა კალაშნიკოვამ მეოთხედფინალი წააგო თათია მიქაძესთან, შაფათავას კი ნახევარფინალში მეორე ნომერმა მაკა ჩახნაშვილმა აჯობა.

გადამწყვეტი დუელი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. პირველი სეტი ჩახნაშვილმა 6:4 მოიგო. მეორეში მიქაძის უპირატესობა აშკარა იყო და გაიმარჯვა კიდეც – 6:3. მესამე ხელში ჩახნაშვილმა ისევ იპოვა „საკუთარი თამაში“ და 7:5 დაამარცხა





ახალგაზრდა მეტოქე, რითაც მთავარი პრიზი დაისაკუთრა. მიქაძე მეორე ადგილზე გავიდა. თუმცა მან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლაც მოახერხა – სოფიკო შაფათავასთან ერთად წყვილთა პაექრობის ფინალში პაულა კანიას (პოლონეთი) და სოფია სუსანის (უნგრეთი) სძლია 6:3, 6:2.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: მაკა ჩახნაშვილი ასპარეზობისას; ტურნირის გამარჯვებულები ორგანიზატორებთან ერთად.**

## ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული პირველობის სასტარტო წრის ფინიშმა კიდევ უფრო გამოკვეთა „ზესტაფონის“ საჩემპიონო ამბიცია – გია გეგუჩაძის გუნდი უკვე 4 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს. ყვირილასპირელებმა ამჯერად სტაბილურობით გამორჩეულ „ვიტ ჯორჯიას“ სძლიეს 2:0 (გელაშვილი, დვალი).**

**დანარჩენი შედეგები:** „ტორპედო“ – „დინამო“ 1:1 (ჩიკვილაძე; ჯუისი), „სიონი“ – „ოლიმპი“ 2:1 (გოცირიძე, უგრეხელიძე; მოდებაძე), „კოლხეთი“ – „ცხინვალი“ 1:0 (ჯიქია), „სამტრედია“ – „ბაია“ 3:1 (ბაკურაძე, ბაკარანძე, კირკიტაძე; ახალაია).

**სატურნირო მდგომარეობა II წრის წინ:** „ზესტაფონი“ – 21, „დინამო“ – 17, „ოლიმპი“ – 16, „კოლხეთი“ – 14, „ვიტ ჯორჯია“, „სიონი“ – 13-13, „ბაია“ – 12, „სამტრედია“, „ტორპედო“ – 7-7, „ცხინვალი“ – 5 ქულა.

**ბომბარდირები:** მეგრელაძე („ბაია“) – 6, ლიპარტია („ვიტ ჯორჯია“), მოდებაძე („ოლიმპი“) – 5-5 გოლი.

* * *

**იტალია.** „ინტერი“ – „იუვენტუსი“ 0:0, „პარმა“ – „მილანი“ 0:1, „ნაპოლი“ – „რომა“ 2:0.

**ესპანეთი.** „ვალენსია“ – „ბილბაო“ 2:1, „ბარსელონა“ – „მალიორკა“ 1:1, „რეალი“ – „დეპორტივო“ 6:1.

**ინგლისი.** „ჩელსი“ – „არსენალი“ 2:0, „სანდერლენდი“ – „მანჩესტერი“ 0:0, „ლივერპული“ – „ბლექპული“ 1:2.

**გერმანია.** „მაინცი“ – „ჰოფენჰაიმი“ 4:2, „ბორუსია“ – „ბაიერნი“ 2:1, „ლევერკუზენი“ – „ვერდერი“ 2:2.



## მინიწყალბურთი

# ამაგდართა სახელის უკვდავსაყოფად



**ვეტერანი სპორტსმენების – ზურაბ ჩაჩავას და ვლადიმერ გოიაშვილის ინიციატივით „ლაგუნა ვერეს“ აუზში მეორედ გაიმართა სახელოვანი მწვრთნელების – როსტომ ჩაჩავასა და ვლადიმერ ბარნაბიშვილის მემორიალი მინიწყალბურთში. საასპარეზოდ ამჯერად 15-მა გუნდმა მოიყარა თავი ორ ასაკობრივ ჯგუფში.**

უფროსებში (1995-1996 წლებში დაბადებულნი) „ივერიის“ პირველმა გუნდმა (ივანე ინწკირველი, სანდრო ყაზახიშვილი, გუგა გელაძე, საბა ჯმუხაძე, ხვიჩა ჯახია, გიორგი ზაქარეიშვილი, ივანე ჩანტლაძე, სანდრო ბითაძე, ლაშა კახეთელიძე, მწვრთნელი ნოდარ კურტანიძე) ერთნაირი ანგარიშით – 2:0 (თითოეული სეტი 4 გოლამდე გრძელდებოდა) სძლია „ივერია-2“-ს და „თბილისს“, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში 2:1 მოუგო „ლიგამუსს“ და პირველი ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, უმცროსმა (1997-1998 წლებში დაბადებულნი) ლიგამუსელებმა (ირაკლი რაზმაძე, მამუკა თუხარელი, რეზო იმნაიშვილი, გიორგი ჭედია, ლევან მოსაშვილი, ლაშა ბერიშვილი, გიორგი თურქია, ზურაბ კვირკველია, ჯემალ ზამბახიძე) იყოჩაღეს: სოსო მაისურაძის შეგირდებმა მშრალი ანგარიშით დაამარცხეს „ივერია-1“, არმიის სასპორტო კლუბი, „ივერია-2“ და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

შეჯიბრების საზეიმო დახურვისას ითქვა, რომ ჩაჩავას და ბარნაბიშვილის მემორიალი ტრადიციული გახდება.

**გივი გაგუა**

**სურათებზე: ტურნირის მთავარი პრიზი; ასპარეზობის მომენტი.**



## ინტერნეტიდან

### დაადგენენ კი ოდესმე?



**ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის უფლებამოსილი ორგანოები იძიებენ სპორტსმენის ასაკის ფალსიფიკაციის მორიგ შესაძლო შემთხვევას.**

ამჯერად ეჭვმიტანილია ჩრდილოეთ კორეის ეროვნული ნაკრების წევრი ხონ სუ-ენი რომლის გამოც იქაური ფედერაციის მესვეურებს მოუწევთ ზეპირი ან წერილობითი ფორმით აუხსნან ოფიციალურ პირებს, რატომ აღმოჩნდა სამი უმაღლესი რანგის ტურნირის განაცხადის გრაფაში „დაბადების თარილი“ სამი სხვადასხვა რიცხვი. კერძოდ, საუბარია 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე (1985 წლის 9 მარტი), 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც „ვერცხლი“ მოიპოვა (1986 წელი) და წლევანდელ „მუნდიალზე“, როტერდამში რომ უნდა გაიმართოს ამ თვეში (1989 წლის 9 მარტი).

სხვათა შორის, თუ 1989 წელს მოევლინა ქვეყანას, მას უფლება არ ჰქონდა ელადურ თამაშებზე ეასპარეზა, რადგან მაშინ 15 წლის იქნებოდა, ოლიმპიადის დებულება კი კრძალავს 16 წლამდე უმცროსი მონაწილის დაშვებას აღნიშნულ ფორუმზე.

### აი, წყვილი!



**მოდელ მარტა ჩეკეტოსა და ფეხბურთელ ლუკა ტონის ვარსკვლავურმა წყვილმა თანაცხოვრების 12 წლისთავი სარდინიაზე ორდღიანი განავარდებით აღნიშნა, სადაც, მართალია, პაპარაცებს დაუქვრა, მაგრამ ერთ-ერთი ფოტომოყვარულის აპარატმა მაინც აღბეჭდა ფირზე.**

იტალიელი ბომბარდირი საზოგადოებაში პერიოდულად ახალ-ახალი ლამაზმანების თანხლებით ჩნდება, რაც ხელს არ უშლის დღესაც კანონიერი მეუღლის გვერდით იყოს.

სხვათა შორის, მარტა ყველგან და ყოველთვის იქაა, სადაც მის რჩეულს მოთამაშის კარიერა გადაისვრის.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ კოლეგასა და მეგობარს იაგო სავანელს გარდაეცვალა დეიდაშვილი

მაია ცაგარეიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## ავტოსპორტი

# ამიერიდან – შვიდგზის!



**რალიში მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდსმენმა ფრანგმა სებასტიან ლიობმა მიღწევათა თამასა კიდევ უფრო გაზარდა – ამიერიდან „სიტროენის“ მრბოლი შვიდგზის გვირგვინოსანია.**

მორიგი ტიტული ამ სწორუპოვარმა პილოტმა სეზონის ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე საფრანგეთში გამართული ბრძოლის შემდეგ მოიპოვა, სადაც 35 წამით აჯობა უახლოეს ესპანელ მდევარს დანიელ სორდოს და მესამეადგილოსან ნორვეგიელ პეტერ სოლბერგს.

ბუნებრივია, გუნდის ლიდერის ტრიუმფალურმა გამოსვლამ „სიტროენს“ კონსტრუქტორთა დავაში მეექვსე გამარჯვება მოუტანა.

შედარებისთვის გეტყვით, რომ უწინდელი საუკეთესო შედეგის ფინელი მფლობელები იუჰა კანკუნენი და ტომი მიაკინენი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ოთხ-ოთხჯერ ავიდნენ.

◉ საქართველოს კულტურის ფონდში

# დაფასებული ბონდო კობაძე

**ბონდო კობაძე ყველგანაა, ბონდო კობაძე „ფიგაროა“, აწუხებს ყველას – კულტურის, განათლების დაწესებულებებს, მეცენატებს, რედაქციებს...**

**რა ხდება?..**

ბონდო კობაძეს – ამ გულმხურვალე კაცს, ღირსეულ მამულიშვილთა გახსენება გაუხდია ცხოვრების მიზნად და ამისთვის არაფერს იშურებს, არ იღლება, შიგადაშიგ, ზოგ-ზოგი ჩინოვნიკის ირონიული ფრაზებიც არ აკრთობს და თავისას „აწვება“ – მთავარია საქმე გააკეთდეს, მომავალმა უნდა იცოდეს, ვინ ჰყავს წინაპარი... ჰოდა, ასე გადაუხადა მან საიუბილეო თარიღები დავით გურამიშვილს, გიორგი საააკაძეს, ივანე ჯავახიშვილს, ილია ჭავჭავაძეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და სხვებს... ახლახან, აკაკი წერეთლის 170 წლისთავთან დაკავშირებით, გამოსცა წიგნი „აკაკი წერეთელი“...

კარგია, რომ ასეთ კაცს საქართველოს კულტურის ფონდმა გარჯა დაუფასა და გასულ პარასკევს თავისი პრეზიდიუმის სხდომაზე ყველა ქართველისთვის სანუკვარი ჯილდო – **ექვთიმე თაყაიშვილის პრემია მიანიჭა ბონდო კობაძეს.**

კულტურის ფონდის თავმჯდომარემ, ჩვენმა სასიქადულო მოქანდაკემ მერაბ ბერძენიშვილმა სპეციალური დიპლომი და ბრინჯაოს მედალი გადასცა და არც გულთბილი სიტყვები დაუშურებია ბონდოს მისამართით. პრეზიდიუმის წევრებმა ნელი გურგენიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ჯემალ ღაღანიძემ და სხვებმა, ასევე შეაქეს ამ მოუსვენარი კაცის გარჯა და ახალი კარგი საქმეების აღსრულება უსურვეს მას.

ბონდომ მადლობა გადაუხადა კულტურის ფონდს, საერთოდ, იქ შეკრებილ საზოგადოებას და, ბოლოს, თავისი მშობელი კახეთიდან ჩამოტანილი საუკეთესო ღვინითაც დაგვალოცვინა თავი.

**ალუდა ნიქაბაძე**

◉ ქართველისგან ნასროლი ტალახი

# ზურაბ წერეთელს გასაქცევი არაფერი სჭირს!



**ლუჟკოვი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და რუსეთის დედაქალაქში მის „ძმაკაცებსაც ერხევათო“, იუწყებიან ბოლო ორი კვირაა მოსკოვის პრესითა და ტელევიზიით. ვინ, ვინ და, უპირველესად, ზურაბ წერეთელია ამოღებული მიზანში – ლუჟკოვის, ვითომ ფავორიტის, აღარც შემოქმედება მოსწონთ, აღარც რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტობა და აღარც მსოფლიო მოქალაქეობა.**

სხვათა შორის, რა, როგორ არის, ჯერჯერობით, არავინ იცის: ლუჟკოვის „ცოდვებთან“ წერეთელს რატომ აკავშირებენ და ამ ცოტა ხნის წინათ, მისი შესანიშნავი ქმნილებები, რატომ გახდა ამჯერად ყბადაღებული კრიტიკის ღირსი (მაგალითად, პეტრე დიდის ძეგლი მოსკოვშიძ, მაგრამ, სამწუხარო ის არის, რომ საქართველოს პერიოდული პრესა მოვლენებს ასწრებს და ინტერვიუებს არაკომპეტენტურ ადამიანებთან „აცხობს“, და, ვითომ, დრო ვიშოვეთო, ტალახს ესვრის მსოფლიო სახელის მქონე შემოქმედს.

მაგალითად, **„კვირის პალიტრის“ 4-10 ოქტომბრის ნომერში** დაბეჭდილია ინტერვიუ სათაურით **„ზურაბ წერეთელი მოსკოვიდან გაიქცა“?** მოსკოვში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „ლაზარეს“ ხელმძღვანელ **ჯონი კვარაცხელიასთან,** რომელიც ასე ამთავრებს გაზეთის კორესპონდენტთან ნაუბარს: **„იგი (ზურაბ წერეთელი – რედ.ძ ქართველობას არაფრით ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ მისი სახლი, სახელოსნო და საგამოფენო დარბაზი ქართული ეკლესიის გვერდით მდებარეობს, ერთხელაც არ შემოსულა ეკლესიაში. რუსებსაც კი უკვირდა ეს“.**

სირცხვილია, ბატონო ჯონი! იმის მაგივრად, რომ ზურაბ წერეთლისთანა რამდენიმე უცხოეთში აღიარებული ქართველი გვესახელებოდეს და გვეამაყებოდეს, თქვენ, აქაოდა, ლომი დაბერდაო, ტალახის სროლა დაგიწყიათ. მე თქვენ მოგიყვანთ ზურაბ წერეთლის უამრავ კოლეგას, უამრავ კულტურის მოღვაწეს (თუნდაც, ერთ-ერთი მე ვარძ, რომელთაც საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანის გულქართლობა უგრძვნია, ფინანსურადაც დახმარებია და საქმეც მიუცია უმუშევრად დარჩენილთათვის. თქვენ და თქვენისთანებმა, რაც უნდა ილაპარაკოთ, ბატონი ზურაბ წერეთელი მაღალ ღმერთს აბარებს საკუთარი ცხოვრების ანგარიშს და ფინიების ყეფა ვერაფერს დააკლებს!

ვაი რომ, ზოგიერთ ქართველს ეგ ვერ შეუგნია!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები ოქტომბერში



**გრაფიკის მიხედვით მინიმუმების დღეებში – 5-ში, 11-ში, 12-ში, 18-სა და 26-ში შეიძლება შეინიშნებოდეს სისუსტე და ძალების დაქვეითება. ასეთ შემთხვევაში რეკომენდირებულია შევამციროთ დატვირთვა და გავზარდოთ დასვენების დღეები.**

**დაძაბული დღეებია: 1(06-09), 7(20-23), 10(04-07), 13 (13-16), 15 (01-03), 17 (21-23), 20 (12-15), 23 (05-07), 30 (16-19).**

**ოქტომბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 7-10, 13-17, 20-23, 28-30 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების წარმოქმნა. ყველა სახეობის ავარიულობის ზრდა, დაძაბულობა სოციუმში და სეისმოაქტივობის გაძლიერება.**

**მიმდინარე წელს ჩვენ გადავიტანეთ გამოცდა ატმოსფერული წნევის, სიცხის და სხვათა გამო. ეს იყო მკაცრი ბრძოლა გადარჩენისათვის. რა გველოდება წინ? სპეციალისტები, რომლებიც პროგნოზებს პლანეტის გეოდინამიკის ცვლილებებზე აგებენ, მკაცრ ზამთარს გვპირდებიან.**

**7 – ახალი მთვარე, მთვარის მერკურთან და სატურნთან შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია სასუნთქი ორგანოების, საყრდენი და მოძრაობის აპარატის, თირკმელების, შარდსადენი სისტემების, სქესობრივი ორგანოების დაავადებათა გამწვავება, ტკივილები ხელებში. დაავადებათა პირველი ნიშნის დროს მიმართეთ ექიმებს, ვინაიდან ავადმყოფობამ შეიძლება მიიღოს ქრონიკული ხასიათი. ერიდეთ ტრავმატიზმს, გაცივებას (განსაკუთრებით წელის მიდამოებშიძ, ნუ მიიღებთ ალკოჰოლს, ნუ მიირთმევთ ცხარე და მარილიან საკვებს, იყავით ფრთხილი ტრანსპორტით მოგზაურობის დროს, შეიქმენით თქვენს გარშემო კეთილგანწყობა, ჰარმონიული ატმოსფერო, იქონიეთ ურთიერთობა მახლობელ ადამიანებთან, დაისვენეთ. ახალი საქმეების წამოწყება რეკომენდებული არ არის.

**10 – მთვარე-მარსის შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. მოსალოდნელია თავის ტკივილი. მშფოთვარე ძილი, ოსტეოქონდროზის გამწვავება, სქესობრივი სფეროს ორგანოების ანთებითი პროცესები, ბუასილი. შეიძლება გაგიმწვავდეთ ეჭვიანობა, შიშის შეგრძნებანი. ერიდეთ ტრავმატიზმს, გაღიზიანებას, თვითკონტროლის დაკარგვას. ფიზიკურ გადატვირთვებს, ალკოჰოლს, ცხარე და ცხიმიან საკვებს. ყურადღებით იყავით თქვენს გარშემო მყოფი ადამიანებისადმი. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს.



**13 – მთვარე-პლუტონის შეერთება, დაძაბული მთვარის ასპექტები.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია ემოციური ტონუსის დაქვეითება, სისუსტე, უსიამოვნებათა გამწვავება, მიდრეკილება ანარქიული ქცევებისადმი, არ არის გამორიცხული ტკივილები ძვლებსა და სახსრებში, შარდსასქესო ორგანოების დაავადებანი. ერიდეთ ტრავმატიზმს, გაცივებას, სიმძიმეების აწევას. როდესაც ვალდებულებებს კისრულობთ, გულდასმით გაითვალისწინეთ საკუთარი შესაძლებლობანი.

**15 – მთვარის პირველი მეოთხედი.** არ არის გამორიცხული ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია უყურადღებობა, გაღიზიანება, მიდრეკილება მოულოდნელი ქცევებისადმი. არ არის გამორიცხული სისხლის, თვალების, ფეხების, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, აგრეთვე დარღვევები საჭმლის მონელებაში. დაავადება შეიძლება წარმოიქმნას შეშფოთებისა და სტრესებისგან, საკვების გადამუშავებისა და გამომყოფი სისტემების შეუთანხმებელი მუშაობისგან. უფრთხილდით ნერვებს, შეინარჩუნეთ საღად აზროვნების უნარი, დაიცავით დიეტა, სასარგებლოა სასუნთქი ვარჯიშები, ფერისა და შუქის თერაპია, გონებრივი მუშაობა.

**17 – მთვარე-ნეპტუნის შეერთება, დედამიწა-მერკურის ოპოზიცია.** შეიძლება შეინიშნებოდეს დაბნეულობა, მეხსიერების დაქვეითება, ფიზიკური და ფსიქიკური არასტაბილურობა. უფრთხილდით ნერვულ სისტემას, თვალებს, ფეხებს, ვენებს. არ არის გამორიცხული ქიმიური, სამკურნალო საშუალებებითა და ალკოჰოლით მოწამვლის ვარაუდი. ერიდეთ ტრავმატიზმს, სტრესებს. წამლების ზედმეტი დოზით მიღებას. ინფექციურ დაავადებებს, არ არის რეკომენდებული დამქანცავი მოგზაურობა, ხანგრძლივი მუშაობა კომპიუტერთან და სატელევიზიო პროგრამების ყურება. სასარგებლოა მსუბუქი ფიზიკური ვარჯიშები, გასეირნება, დასვენება, შემოქმედებითი მუშაობა.

**20 – მთვარის შეერთება იუპიტერთან და ურანთან.** შესაძლებელია აფეთქებითობა, მოუთმენლობა, წამლებისადმი და ალკოჰოლისადმი გაზრდილი მგრძნობელობა, გონივრული აზროვნების ნაკლებობა, სუსტი ენერგეტიკა. არ არის გამორიცხული თირკმელების კოლიკი, თვალების დაავადება, კრუნჩხვები, ტკივილები ტერფებში. რეკომენდებულია ვერიდოთ ცხარე და ცხიმიან საკვებს, ალკოჰოლს, ხანგრძლივ სიარულს, ერიდეთ აგრეთვე ზედმეტ იმპულსურობას, არაპრაქტიკულობას, ტრავმატიზმს, ინფექციებს, დაცემას. კარგია ტერფების მასაჟის გაკეთება, წყლის პროცედურების მიღება, დაწყებული საქმის დამთავრება. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება სჯობია გადადოთ.

**23 – სრული მთვარე. მზე გადადის მორიელის ნიშანში.** საალბათოა ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია ყელყურის, ბრონქების, ფარისებრი ჯირკვლების, სასუნთქი ორგანოების და თირკმელების დაავადებანი. დიდია გაცივების, ანგინის ალბათობა, რეაქციები დაბალი ხარისხის კვების პროდუქტებზე. რეკომენდებულია გაუფრთხილდეთ ნერვულ სისტემას, არ დავძაბოთ ბგერის ორგანოები, ერიდეთ გაცივებას, გამოიყენეთ ხარისხიანი პროდუქტები.

**30 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი.** საალბათოა ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია აღგზნებადობა, გაღიზიანება, სასიცოცხლო ძალების შემცირება, ტკივილები გულსა და ზურგში, სისხლის მიმოქცევის და ფარისებრი ჯირკვლების სისტემების მუშაობის გაუარესება, რადიკულიტის შეტევები. რეკომენდებულია გამოვრიცხოთ მძიმე ფიზიკური დატვირთვა, სიმძიმეების გადატანა, სასურველია კონტროლზე ვიქონიოთ ემოციები, ვერდოთ გადატვირთვას და კონფლიქტურ სიტუაციებს. ბოროტად ნუ გამოვიყენებთ ტკბილეულს, კარგი დროა შემოქმედებისთვის, ბავშვებთან მეცადინეობისთვის, წამოწყებული საქმეების დასრულებისთვის, დასვენებისთვის.

**ზურაბ ლომიძე გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ძმისწული**

**შალვა გივის ძე ლომიძე.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ზურაბ ლომიძეს ძმისწულის**

**შალვა გივის ძე ლომიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**მეუღლე ფოთოლა, შვილები შორენა, გიორგი, ნატო, რძალი ნინო, და ციცინო, შვილიშვილები იური, ანასტასია, ბარბარე, ნიკოლოზი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**იური გიორგის ძე ბოჭორიშვილი**

**პანაშვიდი 5, 6 X, ატენის ქ. №3, 1 სადარბაზო, მე-8 სართული, დაკრძალვა 9 X. ამბროლაურის რაიონი, სოფელი ძირაგეული, 15 სთ.**

◉ ინფორმაცია

# დაკავებულია საკრებულოს წევრი

**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერაციის შედეგად, ონის საკრებულოს წევრი ამირან სხიერელი დააკავეს.**

**სხიერელმა მეწარმეს, ონის რაიონში არსებული საბადოდან, წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის მოპოვებაში გამოსძალა 70 000 ამერიკული დოლარი.**

**დანაშაული ითვალისწინებს 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.**

**სისხლის სამართლის საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**


# განცხადება

**სესტუ აცხადებს კონკურსს შემდეგ საგანმანათლებო პროგრამათა სასწავლო კურსების დისციპლინებზე:**

**საფინანსო საქმის** – 2 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი;

**სამართალმცოდნეობის** – 2 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი;

**საექთნო, სამკურნალო საქმის** – 2 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი;

**საინფორმაციო ტექნოლოგიების** – 2 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი.

აკადემიური თანამდებობების დაკავება მოხდება კანონმდებლობის მიხედვით.

**ცნობებისთვის: თბილისი, ბალანჩივაძის ქ. კორპ. №5, ტელ: 36-46-25.**

## დაიჯესტი

# „ფინთი ძიები“ ევროპიდან, კარგები — რუსეთიდან

**ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის კომისიამ ერთი ხმის უპირატესობით XX საუკუნის დამდეგს ოსმალეთის იმპერიაში სომეხი ხალხის გენოციდი აღიარა. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა არა აქვს, ამ ამბავმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია თურქეთში. გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ საპასუხო ნაბიჯად თურქეთი მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის მხრივ ამერიკის კონტინენტის ძირეული მოსახლეობის გენოციდი აღიარონ. არადა, ამის თაობაზე საჯაროდ ამჟამად არავინ ლაპარაკობს...**



ხოლოკოსტის, ებრაელთა გენოციდის შესახებ, ყველამ იცის, ინდიელთა ამბავს კი ყველა მხარს უვლის. არადა, ეს ნამდვილი გენოციდი იყო, ხალხს მხოლოდ იმის გამო ხოცავდნენ, რომ ისინი ინდიელები იყვნენ. მეტიც: ამერიკის აღმოჩენიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ მათ ადამიანებად კი არა, არამედ — ცხოველებად მიიჩნევდნენ იმ მოტივით, რომ ისინი... ბიბლიაში არ არიან ნახსენები!

ჯერ კიდევ კოლუმბის ახალი ინდოეთის გუბერნატორობის დროს ერთიანად გაანადგურეს კუბის, ჰაიტისა და დომინიკის ადგილობრივი მოსახლეობა. უმძიმესი ფიზიკური სამუშაოების გარდა მათ ასევე... ძაღლების საჭმელად იყენებდნენ — ამ მხეცური მოპყრობის დამადასტურებელი მრავალი წერილობითი წყარო და გრავიურა არსებობს. ავტორიტეტული მეცნიერის რასელ ტორნტონის გამოკვლევით, ევროპელთა ჩასვლამდე ჩრდილოეთ ამერიკაში 15 მილიონი ინდიელი ცხოვრობდა, ხოლო XX საუკუნის დამდეგისთვის ისინი მხოლოდ 200 ათასიღა დარჩნენ.

პრესაში მოყვანილია ევროპელთა მიერ ინდიელთა მკვლელობის, მოწამვლის, მათთვის შეგნებულად ინფექციური დაავადებების შეყრის, წამების, საკვების წყაროს (კერძოდ, ბიზონების 40-მილიონიანი ჯოგისძ, ფაქტობრივად, მთლიანი განადგურების არაერთი მაგალითი, ასევე მოთხრობილია იმის თაობაზე, რომ იყო დრო, როცა, მაგალითად, ჩრდილოეთ კალიფორნიის ადგილობრივი ხელისუფალნი ყოველ მოკლულ ინდიელში ხუთ დოლარს იხდიდნენ, ხოლო 1863 წელს ტეხასში ყოველი ინდიელის სკალპი... 25 ცენტი ღირდა!!

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, თუ როგორ ითვისებდნენ ციმბირისა და ალიასკის უზარმაზარ ტერიტორიებს რუსები, ვიდრე ამ უკანასკნელს 70 მილიონ ოქროს რუბლად გაყიდდნენ. ამ საკითხის მკვლევარი, პროფესორი ანდრეი გონჩაროვი ასე პასუხობს:

— ციმბირის დემოგრაფიის შესახებ ნოვოსიბირსკელი მეცნიერის სერგეი სკობელევის ნამუშევრებს გავეცანი, რომელიც არგუმენტირებულად ამტკიცებს, რომ ციმბირის ძირძველი მოსახლეობის საყოველთაო ამოწყვეტის შესახებ ცნობები აშკარა სიცრუეა, რადგან მე-17-ე საუკუნის შუა ხანებში ციმბირის ფარგლებში დაახლოებით 160 ათასი კაცი ცხოვრობდა, ხოლო 2002 წელს ციმბირის მოსახლეობის, კერძოდ, ნენცების, მანსებისა და ევენკების მთლიანმა რიცხვმა, რომელთა ნაწილი რეგიონის საზღვრებს გარეთ ცხოვრობდა, მილიონნახევარს გადააჭარბა! რა თქმა უნდა, იყო შეტაკებები თათრებთან, ერმაკისა და ხაბაროვის ლაშქრობები, მაგრამ სახელმწიფო გენოციდი არ ყოფილა, ანუ ადგილი აქვს ათჯერად მატებას!

აი, თურმე, როგორ ყოფილა ბატონებო, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

### ინფორმაცია თემაში

**ანთროპოლოგებს მიაჩნიათ, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელებთან ყველაზე მეტი საერთო ციმბირელ კეთებს, ასევე თანამედროვე ჩეჩნებს, ინგუშებსა და ლეკებს აქვთ. ლინგვისტები ენების ატაპასკურ ჯგუფს (აპაჩები, ნავახოები, ატაპასკები, ტლინკიტები) სინოკავკასიურ მაკროოჯახს მიაკუთვნებენ, რომელსაც ასევე კეთები და ჩრდილოეთ კავკასიის რამდენიმე ხალხი განეკუთვნება.**

**ჟურნალ „თაიმსის“ მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ინდიელები არიან ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი და ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი.**

## დაზუსტება

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 22 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა შპს „ჭიათურის ხორცკომბინატის“ განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ, სადაც სარეალიზაციო ქონების ფასი ნაცვლად 45000 ლარისა უნდა იყოს 15 500 ლარი.**

## დღის კალენდარი

### 5 ოქტომბერი

**ხსენება წინასწარმეტყველისა იონასი (VIII ს. ქრისტეს შობამდე; მღვდელმოწამისა ფოკასი, სინოპიელი ეპისკოპოსისა (117 წ; ღირსისა იონა ხუცისა, წმიდათა მამათა თეოფანე კანონთგამომთქმელისა და თეოდორე გამომეტყველთა მამისა (IX წ; მოწამისა ფოკა მემტილესი (დაახლ. 320 წ.**



**ამოდის 05.59**
**ჩადის 17.42**



**ამოდის 24.14**
**ჩადის 14.19**

### დაიბადნენ:

**1581 — ბერნარდო სტროცი,** გამოჩენილი იტალიელი ფერმწერი. გარდაიცვალა 1644 წელს.

**1713 — დენი დიდრო,** ფრანგი მწერალი, ფილოსოფოს-განმანათლებელი და ენციკლოპედისტი.

**1850 — ჰემილტონ გიბსონი,** ამერიკელი მწერალი.

**1889 — ნიკოლოზ კანდელაკი,** მოქანდაკე. გარდაიცვალა 1970 წელს.

**1906 — მათე მირიანაშვილი,** ქართველი ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1975 წელს.

**1947 — ვანო ჩხიკვაძე,** მწერალი.

### გარდაიცვალნენ:

**1880 — ჟაკ ოფენბახი,** ფრანგი კომპოზიტორი.

### მოვლენები:

**1586 წელი** — ლონდონში დაიწყო შოტლანდიის დედოფლის მარია სტიუარტის სასამართლო პროცესი.

**1917 წელი** — თბილისში დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირი.

**1930 წელი** — ლაურა ინგელსი პირველი ქალი გახდა, რომელმაც ტრანსკონტინენტური ფრენა განახორციელა.

**1974 წელი** — ამერიკელმა დევიდ ქანსტმა დაასრულა ფეხით პირველი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო. მან ოთხი წლის განმავლობაში იმოგზაურა და გაიარა 14,450 მილი.

**1989 წელი** — დალაი ლამა ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.

**მედიანიუსი**

**იყიდება სასწრაფოდ!**

**ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ**
**საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე, გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.**

**აგარაკი ტაბახმელაში**
**ულტრათანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 16 93 57.**

## კადრი



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**99-62-77; 899 32-85-76.**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8064 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4585 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8545 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9415 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9852 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2504 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2827 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2412 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7014 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +17 — +29 |
| ქუთაისი. | +19 — +32 |
| ბათუმი. | +16 — +20 |
| ზუგდიდი. | +17 — +30 |
| თელავი. | +17 — +25 |

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.